

K 165952  
3



იუანე  
X ავასთშილის  
პირადად არქივის  
აღწერილობა

ქვემოთა  
1975

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ბ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი



# ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა

შეადგინეს: ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა

კ 165952



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1976

9 (C 41)  
90 (47.922) (ჯავახიშვილი)  
0 364

აღწერილობაში ასახულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დიდი ქართული მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მასალა, რომელიც აგრეთვე შეიცავს საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის და ლენინგრადის საოლქო სახელმწიფო არქივის დოკუმენტების პირებსაც. აღწერილობაში წარმოდგენილია 3 ათასზე მეტი საარქივო ერთეული, დალაგებული თემატიკურად და ქრონოლოგიურად.

აღწერილობა წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა მხარეზე. არქივში თავმოყრილია დიდი მეცნიერის ბიოგრაფიის, მეცნიერული მემკვიდრეობის, სამეცნიერო-ორგანიზაციული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, ივ. ჯავახიშვილის მიმოწერა სხვადასხვა პირებთან და სხვა.

აღწერილობა დიდ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ მკვლევარებს და ფართო მკითხველ საზოგადოებას ივ. ჯავახიშვილის მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლასა და მის მრავალმხრივ საქმიანობის გაცნობაში.

სარედაქციო კოლეგია: ე. მეტრეველი, ე. ხოშტარია,  
ნ. ჯანაშია

სკეზ-2000  
შემოწმებულია

70202  
0  $\frac{M 607 (03)-76}{94-76}$


©

გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976

367/3/129.10

99.2

7-40



## წინასიტყვაობა

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის გარჩევა-მოწეს-რიგება და შესწავლა მისი გარდაცვალების პირველივე თვეებში დაიწყო<sup>1</sup>.


პირველ რიგში სამეცნიერო არქივს მოგვიდეთ ხელი. ივ. ჯავახიშვილი ერთ თავის კერძო წერილში<sup>2</sup> წერდა:

„დიდად პატივცემულო ჩემო ბატონო გიორგი!

გულითად მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისა და წერილისათვის. პირველი ჯერ ნაადრევი გახლავთ, რადგან აკადემიკოსის ნამდვილი და საბოლოო არჩევანის ბედის გადაწყვეტი საერთო კრებაა, რომელიც მხოლოდ 28 და 29 იანვარს იქნება. თუ იქ განყოფილების გადაწყვეტილება ჩემს შესახებ დადასტურდა, მაშინაც უნდა გულახდილად მოგახსენოთ, რომ საგონებელში ვიქნები ჩაგდებულნი: აკადემიკოსობას უნდა ჩემი სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაორკეცება და გაორმაგება მოჰყვეს, ჩემი ძალღონე კი უაღრესად დაძაბულია და ჩემს ჯანმრთელობას ამაზე მეტის ატანა არ შეუძლიან. გამოვა ისე, რომ მე ახალ მოვალეობას პირნათლად ვერ ავასრულებ. ამას კი მიჩვეული არა ვარ და ეს ზნეობრივად დამტანჯავს. მუშაობის გაორმაგებაც იმის გამოქვეყნებასაც გამიძნელებს, რაც ქართულად ჯერ კიდევ დასაბეჭდი და დასამთავრებელი მაქვს. მე კი დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია და ამქარება მჭირდება: ყოველნაირად უნდა ვეცადო, რომ უმთავრესი ნაშრომების გამოცემა მაინც მოვასწრო. როდესაც ავტორი მეცნიერი ცოცხალი აღარ არის, ძალიან ძნელია იმის გამორკვევა, თუ

<sup>1</sup> უდიდესი მადლობის გრძობით უნდა აღინიშნოს ამ სამუშაოში განსვენებული ლევან (ლენკო) მუსხელიშვილისა და ილია აბულაძის რჩევებითა და უშუალო მონაწილეობით გაწეული დახმარება.

<sup>2</sup> ეს წერილი პასუხია პედაგოგ გ. კვიციანიშვილის მისალოცი წერილისა, სადაც გ. კვიციანიშვილი ივ. ჯავახიშვილის ულოცავდა საქვეშინო აკადემიის აკადემიკოსად არჩევას.



რანაირად დაამთავრებდა იგი, თვითონ რომ მოესწრო კვლევადი-  
ბის დასრულება. უფრო ძნელი გასარკვევი იქნება ჩემს დაუშთავ-  
რებელ ნაშრომებში გარკვევა, რადგან ბევრ სხვადასხვა სამეცნიერო  
დარგზე მუშაობის გამო წლების სხვადასხვა დროს მაქვს ნაწილ-  
ნაწილ დაწერილი, მოუცლელობის გამო კვლევა-ძიება შეწყვეტი-  
ლია იმ იმედით, შემდეგში მოვახერხებდი იმის დაწერას, რაც ჩემ-  
მა მეხსიერებამ იცის. თუ ამასთანავე იმასაც დავუმატებთ, რომ ჩე-  
მი ნაწერების, სტამბაში მიცემამდის, გვერდების პაგინაცია წესად  
არ მაქვს, ადვილად წარმოსადგენია, რომ უკეთესია ჩემთვის შრო-  
მების გამოქვეყნებისათვის მომენდომებია ის მცირე დრო, რომე-  
ლიც დამრჩა სიცოცხლის სარბიელზე“.

ზემოთ მოტანილი წერილი ანდერძივით დავისახეთ. ის გვავა-  
ლებდა განსაკუთრებული სიფრთხილითა და გულისყურით მოვკი-  
დებოდით ამ საქმეს, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის წერილში აღნიშ-  
ნული გარემოება საკმაოდ ართულებდა<sup>3</sup>.

ივ. ჯავახიშვილის მუშაობისათვის დამახასიათებელი იყო პირ-  
ველწყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურიდან ერთი და იგივე  
მასალის ბარათებზე რამდენჯერმე ამოწერა სხვადასხვა ინტერესე-  
ბის თვალსაზრისით ან მიზნით. ამის გამო ხშირად გვხვდებოდა  
ერთი და იგივე კონტექსტის გამეორება, სადაც მისთვის საჭირო  
ტერმინზე ან შინაარსზე სხვადასხვა რაოდენობით გასმული ხაზე-  
ბი მიგვანიშნებდა. ყოველივე ეს დიდ დაკვირვებას და სიზუსტის  
დაცვას მოითხოვდა.

პირველ ყოვლისა, გაკეთდა ზოგადი აღწერა — ნაშრომების  
საწერი მაგიდის უჯრებში და კარადებში განლაგების, მათი დას-  
რულების სტადიის (დასრულებული, დაუსრულებელი, ფრაგმენტე-  
ბი და სხვა.), შინაარსის ზოგადი მითითებითა და ფურცლების რა-  
ოდენობის აღნიშვნით (გაკეთდა სრული აღრიცხვა-პაგინაცია), შედ-  
გა სამეცნიერო შრომების სია.

1940 წლის 20/XI საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ გამოიყო  
ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობის მიმღები კომისია, რომელსაც და-  
ვევალი ორი თვის შემდეგ წარედგინა ივ. ჯავახიშვილის შრომების  
ზემოხსენებული სია. 1941 წლის ნოემბრიდან საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულ-  
ტურის აკად. ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის ფილოლოგიის

<sup>3</sup> ამის გამო ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგდროინდელ გამოცე-  
მებს მათი დამუშავებისდა მიუხედავად „მასალები“ ვუწოდეთ.



განყოფილებას დაეწვალა ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო შრომების პუბლიკაცია (ხელმძღვანელი სიმონ ყაუხჩიშვილი). 1943 წ. აპრილში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ივ. ჯავახიშვილის კაბინეტის დაარსების შემდეგ, ამ საქმის გაგრძელება და არქივის შევსება საბჭოთა კავშირის არქივებში დატული სათანადო მასალით კაბინეტს დაეკისრა.

1955 წ. 15 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ახალი კომისია გამოყო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ აკადემიკოსები ნიკ. ბერძენიშვილი (თავმჯდომარე) და გ. ჩუბინაშვილი, პროფესორი ილია აბულაძე, მიხეილ გეგეშიძე, ვახტანგ ჯაფარიძე და ალ. ჯავახიშვილი (მდივანი). კომისიამ დააწესა ივანე ჯავახიშვილის შრომების გამოცემის თანმიმდევრობა და გამოპყო რედაქტორები.

1958 წ., მას შემდეგ, რაც საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება ხელნაწერთა ინსტიტუტად გადაკეთდა და ივ. ჯავახიშვილის კაბინეტი მას გადაეცა, მოხერხდა ივ. ჯავახიშვილის ბინიდან არქივის ერთიანად იქ გადატანა და საგანგებო საცაემში მოთავსება. პირადი არქივის (ბიოგრაფიული და მოღვაწეობის ამსახველი მასალებისა და მიმოწერის) სისტემატური დამუშავება მხოლოდ 1961 წ. დაიწყო.

არქივის გარჩევამ და შესწავლამ მრავალი საინტერესო, მეტად მნიშვნელოვანი და მანამდე უცნობი მასალა გამოავლინა. ბოლო დროს მთელი არქივი გადაისინჯა, შემოწმდა, საბოლოოდ შეჭერდა და გაიმართა ქვემოთ აღწერილობა. ყოველივე ამის შედეგად დაზუსტდა, რომ ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო და პირადი არქივი შეიცავს 4000-ზე მეტ საფონდო ერთეულს, განაწილებულს სხვადასხვა შინაარსის 7 ჯგუფად. შესაბამისად ამისა, არქივის აღწერილობა შედგება 7 კარისაგან.

პირველი კარი შეიცავს ივ. ჯავახიშვილისა და მისი ნათესაობის ცხოვრების ამსახველი მასალის აღწერილობას (რომელშიც წარმოდგენილია როგორც თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ შენახული, ასევე სხვადასხვა არქივებიდან შეგროვილი მასალა დალაგებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით).

მეორე კარი მოიცავს ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივი სამეცნიერო მემკვიდრეობის აღწერილობას და შედგება 10 თავისაგან: საკუთრივ სამეცნიერო შრომები, დალაგებული თემატურად; ტექსტების პუბლიკაცია; მოხსენებები და ლექციები; რეცენ-

ზიები; ტერმინოლოგია; ჩანაწერები, ჩანიშვნები; ტექსტები, წერილი ივ. ჯავახიშვილის მიერ; ამონაწერები სხვადასხვა წყაროებიდან და ლიტერატურიდან; ბიბლიოგრაფია შედგენილი ივ. ჯავახიშვილისა და სხვების მიერ; რეცენზიები ივ. ჯავახიშვილის შრომებზე.


მესამე კარში განხილულია მასალა, რომელიც ასახავს ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობას სამეცნიერო დაწესებულებებში, სადაც იგი გვევლინება, როგორც მეცნიერი-ხელმძღვანელი ან მრჩეველი (კონსულტანტი) და ამავე დროს საზოგადო მოღვაწე. ამიტომ ეს მასალები ჩვენ მიერ გაერთიანდა სათაურით — სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ეს კარი შეიცავს შემდეგ ქვეთავებს: პედაგოგიური მოღვაწეობა; პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე; საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოება; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი; ენიმკი; მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია; შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის ამსახველი მასალები; საკავშირო მეცნიერებათა აკადემია.

მეოთხე კარი შეიცავს ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალის აღწერილობას და ძირითადად ეხება მის ურთიერთობას სხვადასხვა დაწესებულებებთან, თანამშრომლობას პერიოდულ გამოცემებში; აქვე შედის უმალღეს საბჭოში მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

მეხუთე კარი შეიცავს არქივის უდიდეს ნაწილს — მიმოწერას: ივ. ჯავახიშვილის წერილები სხვადასხვა პირებისადმი (შედარებით მცირე ნაწილი) და სხვადასხვა პირთა წერილები ივ. ჯავახიშვილისადმი.

მექვესე კარში აღწერილი მასალა გაერთიანებულია სახელწოდებით „ნარევი“. მასალა უშუალოდ არ ეხება ივანე ჯავახიშვილს, თუმცა დაკავშირებულია მასთან: შესრულებულია მისი ხელმძღვანელობით (ნაშრომები), გაკეთებულია მისი დავალებით (ჩანაწერ-ამონაწერები), სარეცენზიოდაა გადმოგზავნილი. შეიცავს აგრეთვე სხვადასხვა წესდება-დებულებებსა და მასალას სამუზეუმო-საორგანიზაციო საკითხებზე.



მეშვიდე კარი შეიცავს არქივში დაცულ ფოტოსურათების აღწერილობას. ზოგიერთ ზემოდასახელებულ კარში სათაურით „სხვადასხვა“ ცალკე პარაგრაფად გამოყოფილია ისეთი მასალის აღწერილობა, რომლის უშუალოდ დაკავშირება ძირითად მასალასთან ვერ მოხერხდა. ეს უმთავრესად ეხება სამეცნიერო შრომებსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

სხვადასხვა მასალის ნაირსახეობისა და სპეციფიკის გამო, აღწერილობაში არ არის დაცული ერთგვაროვნება. ძირითადად ის დალაგებულია თემატიკურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ბიოგრაფიული ნაწილი და აღწერილობის ცალკეულ თავებში გამოყოფილი პარაგრაფები „სხვადასხვა“, სადაც მასალა დალაგებულია მხოლოდ ქრონოლოგიურად.

მიმოწერა დალაგებულია ანბანზე, აღრესატების მიხედვით, ქრონოლოგიურად.

ტერმინოლოგიური მასალის აღწერილობაში ივ. ჯავახიშვილის მიერ ამოკრეფილ ნაწილს დამატებული აქვს სხვადასხვა პირთა მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით კეთდებოდა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დაყოფა ერთგვარად პირობითია. ასე მაგ., აღწერილობაში ტერმინოლოგია-ლექსიკოლოგია ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი (იხ. სამეცნიერო მუშაობა). ამავე დროს ის ლექსიკოლოგიურ-ტერმინოლოგიური დიდი სამუშაო, რომელიც სრულდებოდა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში, ამ ეპოქის მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლის მიზნით, შეტანილია შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმის მასალებში.

იგივე უნდა ითქვას მიმოწერაზეც. პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობასთან დაკავშირებული მიმოწერა (საანკეტო ფურცლების გამავრცელებელთა წერილები) გამოყოფილია მიმოწერიდან და დართული აქვს სამეცნიერო წრის მასალებს.

აღწერილობაში ყოველი ერთეული გატანილია ცალკე საარქივო ნომრით, მოცემულია მისი მეცნიერული ანოტაცია და ტექნიკური აღწერილობა. მითითებულია personalia, რომელთა შესახებაც მასალა რაიმე მნიშვნელოვან ცნობას იძლევა.

გამეორებათა თავიდან ასაცილებლად ერთგვაროვანი მასალა გავაერთიანეთ ერთი რიგითი ნომრის ქვეშ, ხოლო ყოველ მათგანს მითითებული აქვს თავისი საარქივო (საფონდო) ნომერი (ეს მასა-

ლა სრულად წარმოდგენილია ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდის კატალოგში).

გამარტივებულია საარქივო ერთეულების ტექნიკური აღწერილობაც:

1. აღრესატების და წერილების ავტორები დასახელებული არიან თითოჯერ (წერილთა რაოდენობისდა მიუხედავად).

2. გვარების დაწერილობას ყველგან ვიძლევეთ ქართულად, კავებში, წერილის ენაზე.

3. აღწერილობაში არ არის აღნიშნული, თუ საარქივო ერთეული დაწერილია მეღნიტ და ქართულად; აღნიშნულია მხოლოდ მაშინ, როცა დოკუმენტი ფანქრითაა ნაწერი, მანქანაზე ან სტამბურად არის დაბეჭდილი, შესრულებულია რუსულ ან უცხო ენებზე.

4. ხელისმოწერა წერილებში იმ შემთხვევაშია აღნიშნული, თუ იგი ავტორის ხელით არ არის ნაწერი ან მანქანაზეა დაბეჭდილი. თუ ხელმოუწერელი წერილის (ან სხვა მასალის) ავტორი ჩვენთვის ცნობილია, მაშინ მისი გვარი კუთხოვან კავებშია მოქცეული.

5. გამოქვეყნებული მასალის ანოტაცია არ არის მოცემული. მითითებულია გამოცემის წელი და ადგილი.

6. იმ შემთხვევაში, თუ არქივში დაცულია ამა თუ იმ მასალის პირი, მითითებულია მისი დედნის ადგილსამყოფელი (ძირითადად ეს ეხება ივანე ჯავახიშვილის სტუდენტობისა და საუნივერსიტეტო მუშაობის დროის ბიოგრაფიულ მასალას, რომელიც ГИАПО-ს საუნივერსიტეტო ფონდშია მოთავსებული).

7. აღწერილობაში შეტანილია ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალაც, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებების (ცსსა, ორცსა<sup>4</sup>, ლიტ. მუზეუმის) ან ხელნაწერთა ინსტიტუტის სხვა ფონდებში ინახება, მოხსენებულ მასალას ჩვენ მიერ მიცემული აქვს მხოლოდ რიგითი ნომრები, ამასთანავე მითითებულია ამ საარქივო ერთეულების დაცულობის ადგილი, ფონდი და მისი ნომერი.

8. ივ. ჯავახიშვილის საარქივო ერთეულების საფონდო ნომერი მოტანილია ყოველი ერთეულის ტექნიკური აღწერილობის ბოლოში განსხვავებული შრიტით.

<sup>4</sup> ამ მასალის აღწერილობა შესრულებულია თამარ ტაბლიაშვილის მიერ და თვით მასალა ძირითადად მის მიერვეა გამოქვეყნებული. ივ. ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი, „საისტორიო მოამბე“, № 20—21, 1967.



9. დაუთარილებელი მასალა გადატანილია ყოველი კარის თათრული თავის ბოლოში. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საარქივო ერთეულის შინაარსის (ან სხვა რაიმე ნიშნის) მიხედვით მოხერხდა მათი დათარილება და სათანადო ადგილას მოთავსება. აღდგენილი თარიღები მოთავსებულია კუთხოვან კავენებში.

10. აღწერილობაში არ არის აღნიშნული ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო შრომების დაწერის თარიღები, ვინაიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იგი წლების განმავლობაში ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა გამოკვლევაზე მუშაობდა და დროდადრო შიგადაშიგ ავსებდა. ამასთანავე ავტორი მათ პაგინაციას არ უკეთებდა, ვიდრე საბოლოოდ დასრულებულად არ მიიჩნევდა.

11. personalia გატანილია მხოლოდ წერილებიდან.

12. ყველგან ვწერთ თბილისს ან თბ., თსუ-ს და ჯავახიშვილს (Джавახов-ის ნაცვლად).


13. აღწერილობას ვურთავთ შემოკლებათა ახსნას და გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებელს.

14. აღწერილობაში მითითებული წიგნები, საიდანაც ამოღებულია ზოგიერთი საარქივო ერთეული, დატულია ივ. ჯავახიშვილის კაბინეტის ბიბლიოთეკაში.

საკვიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ აღწერილობაში არაა შესული შოთა რუსთაველის მუზეუმში ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული სამუშაო — ისტორიული ლექსიკონისათვის ამოწერილი და ანბანზე დალაგებული მასალა, ასევე, შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის ამსახველი დიდძალი მასალა (შეგროვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 1936-38 წწ-ში), რომელიც დატულია და მზადდება გამოსაცემად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ივ. ჯავახიშვილის მდიდარი საარქივო დოკუმენტების შესწავლის შედეგად საკმაოდ გამოვლინდა ასალი, მეტად საყურადღებო მასალა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ, რომელსაც ორიოდე სიტყვით შევეხებით.

5 ასევე კუთხოვან კავენებში ვათავსებთ ჩვენ მიერ დადგენილ სათაურებს, ავტორებს და სხვა. გამონაკლისს წარმოადგენს ამონაწერები, ჩანიშვნები და სხვა ამგვარი, სადაც კავენები არ არის ნახმარი ტექსტის ზედმეტი ნიშნებით გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად.



ივ. ჭავჭავიძის არქივის აღწერილობის პირველ კარგად მოყრილია მეტ-ნაკლებად ცნობილი, ბიოგრაფიული მასალა. მათგან მატერიალური სიგელი, გაცემული ივ. ჭავჭავიძის ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის წევრად არჩევის გამო.

ივ. ჭავჭავიძის არქივში დაცულია როგორც მის სიცოცხლეში გამოქვეყნებული თითქმის ყველა შრომის დედანი, ასევე გარდაცვალების შემდეგ გამოცემული შრომების დედნებიც. გარდაცვალების შემდეგ პირველად გამოქვეყნდა მისი რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი, როგორცაა მაგ. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი<sup>6</sup>, ქართველი ერის ისტორიის III ტომის ორივე ვარიანტი (მოკლე და ვრცელი)<sup>7</sup>, მასალები მატერიალური კულტურის ისტორიისათვის 4 ნაკვეთი<sup>8</sup>, ენისა და ლიტერატურის საკითხები (კრებული)<sup>9</sup>. მასალები ეკონომიური ისტორიისათვის წ. I<sup>10</sup>, ეკონომიური ისტორიის ძეგლების 2 წიგნი<sup>11</sup> და პუბლიკაციები:

<sup>6</sup> ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I. საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1950, გ. ჩიტაიას რედაქციით.

<sup>7</sup> ქართველი ერის ისტორია, XIII—XIV სს. წიგნი III, I გამ., თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1941, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. II გამ., „საბჭოთა საქართველო“, 1966, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით.

<sup>8</sup> მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის:

ა) ნაკვ. I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1946, პასუხისმგებელი რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი.

ბ) ნაკვ. II. მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, საფენელ-საგებელი, ავეჯი და ქურქული. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1965, გ. ჩიტაიას რედაქციით.

გ) ნაკვ. III. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე; ნაკვ. IV, საომარი საქურეული და სამხედრო საქმე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1962, გ. ჩიტაიას რედაქციით.

<sup>9</sup> ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები (კრებული). თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1956, ილ. აბულაძის და ალ. ბარამიძის რედაქციით.

<sup>10</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, ნაკვ. IV და V, მეღვინეობა და მებოძეობა საქართველოში. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1964. გამოსაცემად მოამზადა აკად. ივ. ჭავჭავიძის სახელობის კაბინეტმა, რედ. ნ. ბერძენიშვილი.

<sup>11</sup> საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, აღმ. საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობით, 1967; გამოსაცემად მოამზადა დ. მეგრელიძის და ნ. ჭავჭავიძის მიერ; წიგნი II. საქართვე-

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოას მოძღვარი<sup>12</sup>; გვიორგი მთაწმიდელის — ექვთიმე და იოანე მთაწმიდელების ცხოვრება<sup>13</sup> და, რაც მთავარია, ივ. ჯავახიშვილის მიერ „ამაოდ მომზადებული“ „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“<sup>14</sup> და სხვ.

განმეორებით გამოქვეყნდა: ქართველი ერის ისტორიის ყველა წიგნი, რომელთა გამოცემა ეკუთვნის პროფ. ს. ყაუხჩიშვილს<sup>15</sup>, დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია (II შეესებულებული გამოცემა)<sup>16</sup> და საისტორიო მწერლობა (III შეესებულებული გამოცემა)<sup>17</sup>.

ლოს ეკონ. ისტ. ძეგლები, XIII—XIX სს., თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974. გამოსაცემად მომზადდა დ. მეგრელაძისა და ნ. ჯავახიშვილის მიერ.

12 ბასილი ეზოას მოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ტექსტი მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ივ. ჯავახიშვილმა, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამ. 1944.


13 გვიორგი მთაწმიდელი. ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1946, აკად. აკ. შანიძის რედაქციით. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა.

14 სინას მთის ქართული ხელნაწერების აღწერილობა. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ. 1947, ილ. აბულაძის რედაქციით. სინას მთის ქართული ხელნაწერების აღწერილობის გამოქვეყნება ვერც ნ. მარს და ვერც ივ. ჯავახიშვილს სიოცხლებულში ვერ მოუხერხდათ. ივ. ჯავახიშვილი ელოდა თავის მასწავლებლის აღწერილობის გამოქვეყნებას, ხოლო როცა დაწმუნდა, რომ მისი გამოცემა გვიანდებოდა გამოსაცემად დაშადებული თავისი ნაწილი ხელნაწერის სახით საზოგადო სარგებლობისათვის საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას გადასცა (იხ. ბ. ი. S 700) და სათურთან მიაწერა: „გამოსაცემად ამაოდ მომზადებული“. ნ. მარსის აღწერილობა 1940 წ. დაიბეჭდა რუსულ ენაზე.

15 ა) ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გამ. IV, თბ., თსუ-ს გამ. 1951, რედ. ს. ყაუხჩიშვილი. ბ) ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გამ. V, თბ., თსუ-ს გამ. 1960, რედ. ს. ყაუხჩიშვილი. გ) ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, II შეესებულებული გამ., თბ., თსუ-ს გამ., 1948, ს. ყაუხჩიშვილისა და ალ. ჯავახიშვილის რედაქციით. დ) ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, III გამ. თბ., „საბჭოთა საქართველო“. 1965, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ე) ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, XV—XVI სს-ები, თბ., თსუ-ს გამ. 1948, რედ. ს. ყაუხჩიშვილი და ალ. ჯავახიშვილი. ვ) ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, XV—XVIII სს-ები თბ., თსუ-ს გამ. 1967. დასაბეჭდად მოამზადა და ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული მასალით შეავსო ს. ყაუხჩიშვილმა. ზ) ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე. [XVII—XVIII] სს-ები; თბ., თსუ-ს გამ., 1953, რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თ) საქართველოს ისტორია. XI—XV სს-ები (მოკლე მიმოხილვა), თბ., სახელგამი, 1949, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით.

16 ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი III, ნაკვეთი I. დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ. 1949. ილ. აბულაძის რედაქციით.

17 ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა V—XVIII სს-ები, 1945, ს. ყაუხჩიშვილის რედ.



ჩამოთვლილი ნაშრომების დედნების გარდა არქივში დაცულია მოსაქვეყნებელი ნაშრომებისა და ცალკეული სამეცნიერო წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი. ასეთებია:

1. მასალები ეკონომიური ისტორიისათვის, რომელიც შეიცავს ავტორის მიერ III და IV წიგნად განსაზღვრულ მასალას. ამ ნაკვეთებში წარმოდგენილია მეცხოველეობა-მეფრინველეობა და მასთან დაკავშირებული მეურნეობის დარგები; სოფლის, სამეფო და სამონასტრო მეურნეობის ორგანიზაცია, ვაჭრობა-მრეწველობა; ქალაქი და საქალაქო წესწყობილება; მიმოსვლა და სავაჭრო გზები, მცხოვრებთა უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა; ფული, გადასახადების სახეები; ჯალალ-ედ-დინის შემოსევის ეკონომიური შედეგი და სხვ.

2. მასალები სამართლის ისტორიისათვის შემდეგ საკითხებზე: საერთაშორისო საგარეო პოლიტიკა; სარწმუნოებრივი პოლიტიკა; სარწმუნოებრივი ბრძოლის ისტორია VI ს-ში; მსოფლმხედველობა; საქართველოს სახელმწიფოს მიწა-წყალი, მკვიდრნი და მოსახლეობის ერთეულები და სხვა.

3. მატერიალური კულტურის ისტორიის მასალის გამოუქვეყნებელ ნაწილში წარმოდგენილია: ჰედვა, ოქრომჭედლობა, მინაქარი და სხვა.

4. მასალები ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების ისტორიისათვის (საჯარო და კერძო ყოფა-ცხოვრების, დარბაზობის, ქორწინებისა და სხვა წესები). ამ მასალებში გამოყენებულია როგორც ისტორიული წყაროები, ასევე ხალხური სიტყვირებისა და ძველი მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები.

5. ივ. ჯავახიშვილს დაუმთავრებელი დარჩა ქართველი ერის ისტორიის შესავლის III წიგნიც; ის შეიცავს, ძირითადად, ენობრივ მასალებს და ნაწილობრივ ეტიმოლოგიურ კვლევას — ცნებების წარმოშობის ისტორიას, რომელიც ემყარება ქართული და კავკასიური ენობრივი მარაგის შედარებით შესწავლას და დღესაც არაა მოკლებული ინტერესს წამოყენებული საკითხებისა და კვლევის მეთოდის თვალსაზრისით.

6. არქივში დაცულია მასალები ენისა და ლიტერატურის ცალკეულ საკითხებზე. მაგ. ა) „ზედსართავების მაწარმოებელი სხვადასხვა თავსართ-ბოლოსართების შესახებ“; ბ) „ფილოლოგია საზოგადოდ და მეტადრე ქართული“.

7. არქივში მოიპოვება სხვადასხვა ხასიათის ქრონოლოგიური შენიშვნები: ა) ანისში დაცული წარწერების შესახებ; ბ) ჰადისში სახარების თარიღი; გ) ამირანის თქმულების წარმოშობის დროის შესახებ და სხვ.

8. ივ. ჯავახიშვილის მიერ სხვადასხვა საისტორიო და იურიდიული ძეგლების ტექსტის დადგენის ცდები, ესენია: დავით აღმაშენებლის ისტორია, ისტორიანი და აზმანი შარავეანდეთანი, მათიანე ქართლისაჲ, ბექა-აღბულას სამართალი, ვარაანტების დართვით, ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალისა, ხელნაწერთა კითხვა-სხვაობებითა და შენიშვნებით.

9. ივ. ჯავახიშვილის მთელი რიგი გამოუქვეყნებელი ანდა ძველად გამოქვეყნებული მოხსენებები, რეცენზიები, ცალკეული წერილები, მაგ. მოხსენება წაკითხული თსუ-ს პროფესორთა საბჭოზე ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, მისთვის დოქტორის ხარისხის მინიჭების გამო; სიტყვა წარმოთქმული მოსე ჯანაშვილის 53 წლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე. ივ. ჯავახიშვილის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოხსენებები, როგორც მაგ. ისტორიის განყოფილების დაარსების აუცილებლობისა და არქეოლოგიური გამოფენის მოწყობის შესახებ; მეცნიერ მუშაეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ; მოხსენება ქართული ხალხური შემოქმედების საკითხების ირგვლივ; ასევე — „რა შესძინა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს ისტორიას“.

არქივის ერთი მონაკვეთი ნათლად წარმოგვიდგენს იმ დიდ საორგანიზაციო და სამეცნიერო მუშაობას, რომელსაც ეწეოდა ივანე ჯავახიშვილი ქართული ტერმინოლოგიისა და ლექსიკოლოგიის დარგების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის.

ამ საარქივო მასალებით ზუსტდება როგორც თვით დარგები, რომლებშიც წლების მანძილზე უმუშავია ივ. ჯავახიშვილს, ასევე ის დაწესებულება-საზოგადოებები, სადაც კეთდებოდა ეს საქმე. ცალკეა გამოსაყოფი ის დიდი სამუშაო, რომელიც სრულდებოდა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში ისტორიული ლექსიკონისათვის მასალების შესაგროვებლად<sup>18</sup>. არქივში დაცულია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის მი-

<sup>18</sup> ზემოაღნიშნული მასალა დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ერ ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის დაწერილი წერილები ანუ, აგრეთვე ცალკეული ტერმინების განმარტებანი.

ივ. ჯავახიშვილის მუშაობისათვის დამახასიათებელი იყო ძველ ტერმინებზე აგებული კვლევა, ამიტომ მის არქივში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ამონაწერები პირველწყაროებიდან და სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ლიტერატურიდან.

ივ. ჯავახიშვილს, როგორც ჩანს, განზრახული ჰქონდა „ისტორიის მეთოდოლოგიისა და ფილოსოფიის“ დაწერა, რისთვისაც საგანგებოდ განკუთვნილ ყდაში აგროვებდა ამ საკითხებთან დაკავშირებულ მასალას. დაწერილი დარჩა მხოლოდ „ზოგადი შესავალი“ და „შედარებითი მეთოდის შესახებ“.

ყურადსაღებია ივ. ჯავახიშვილის მიერ ახალგაზრდობის დროიდან შეგროვებული ეპიგრაფიკული წარწერების პირებიც.

რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის პედაგოგიურ და სამეცნიერო-საზოგადოებრივ მუშაობას, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საინციერო წრის მასალები. წრის ხელმძღვანელისათვის — ივ. ჯავახიშვილისათვის — წრის დაარსებას ერთი მიზანი ჰქონდა: ნიადაგის მომზადება ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეის განხორციელებისათვის. წრეში ქართველი ახალგაზრდობა, პირველყოვლისა, უნდა შეჩვეოდა ქართულად მეცნიერულ აზროვნებას, მსჯელობას და წერას. ამისათვის ივ. ჯავახიშვილმა წრეში სემინარული მუშაობა შემოიღო, — იწერებოდა და იკითხებოდა თემები ისტორიის, ლიტერატურის, იურისპრუდენციისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე, იმართებოდა მსჯელობა (ამის შედეგია წრის მიერ 1915 წ. გამოქვეყნებული კრებული).

წრეში შემუშავდა ანკეტები, რომლებიც გავრცელდა რუსეთსა და უცხოეთში უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობაში, მათი მეცნიერული ინტერესების, პოლიტიკური მიმართულებისა და ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად და იმის გამოსარკვევად, თუ რა მეცნიერული კადრი ეზრდებოდა საქართველოს და შესაძლებელი იყო თუ არა მასზე დაყრდნობით უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. შეკრებილი მასალა თავის დროზე გამოყენებულ იქნა დასახული მიზნისათვის, ისტორიის თვალსაზრისით მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ის ცხადყოფს საქართველოს ყველა კუთხის ახალგაზრდობის დიდ ლტოლვას უმაღლესი განათლებისაკენ, უცხოეთისა და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში

სწავლას დაბრკოლებად არ ეღობებოდა არც სიშორე, არც ეკონომიური პირობები. მეცნიერების ყოველი დარგი ძირითადად გარკვეული მიზნით იყო არჩეული. თითქმის ყოველი ახალგაზრდის მიზანი იყო მიღებული ცოდნა სამშობლოს კეთილდღეობას მოხმარებოდა. საყურადღებოა ისიც თუ როგორ ვრცელდებოდა ანკეტები, რაც მათ გამავრცელებელთა წერილებშია ასახული. არ უნდა იყოს დავიწყებული ის გარემოება, რომ ეს ღონისძიება ტარდებოდა შენიღბულად, — ვითომდა სტატისტიკური ცნობების შეგროვების მიზნით. წრემ დიდი შრომა გასწია ქართული მწერლობისა და პუბლიცისტური წერილების ბიბლიოგრაფიის შესაღვენად (იხ. კარპეზ ღონღუას წერილი ფ. № 1765)<sup>19</sup>.

ინტერესს არაა მოკლებული ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებებში. არქივში დაცულია მასალები: მიმართვები, ოფიციალური და კერძო ხასიათის მიმოწერა (ასეთია მაგ. ექვთიმე თაყაიშვილის კერძო წერილები და მიმართვები, მიმოწერა გიორგი ყაზბეგთან და სხვ.), სადაც ნათლად ჩანს ივ. ჯავახიშვილის ყოველგვარ ანგარებას და მიკერძოებას მოკლებული შეხედულებები და პრინციპულობა, სხვადასხვა სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

ნაკლებადაა ცნობილი ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმში და ენიმკი-ში (ამ დაწესებულებათა შორის სამუშაოთა კოორდინაცია არსებობდა). არქივში ამის შესახებ საინტერესო მასალა მოიპოვება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მუზეუმისა და შოთა რუსთაველის მუზეუმის მასალები. ივ. ჯავახიშვილის იქ მისვლის შემდეგ სამეცნიერო მუშაობა გაიშალა და გაძლიერდა. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით დაარსდა ისტორიის განყოფილება. დაწესდა სემინარული მუშაობა ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლებთან მათი ცოდნის ამაღლების მიზნით, სადაც ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არ-

<sup>19</sup> „ნაწილი ამ ბიბლიოგრაფიისა დაიბეჭდა, დანარჩენი მასალა ეხლაც ინახება მეცნიერებათა აკადემიაში, ლენინგრადში. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ მომავალში ამ ძვირფასი მასალების გამოცემა მოხერხდეს, რათა ყოველ ჩვენგანს შესაძლებლობა ჰქონდეს ისარგებლოს ამ მასალით“. ივ. ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის, თსუ-ს შრომები, 1(138), 1971, გვ. 11.

ჩვედნენ და ამუშავებდნენ საისტორიო თხზულებებს. მათთვისვე ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექციების ციკლი. აქვეა მოსახსენებული მასალები თრიალეთის, მცხეთა-სამთავროსა და არმაზის გათხრების შესახებ. ივანე ჯავახიშვილის მოხსენება არქეოლოგიური გამოყენების მოწყობის შესახებ.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ივ. ჯავახიშვილს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების საქმიანობაში. მან შეიმუშავა ხელნაწერთა აღწერილობის ინსტრუქცია და ანდერძ-მინაწერების ამოკრეფის წესი.

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (ენიმიკის თანამშრომლებთან ერთად) გადაწყდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების ხელახალი გამოცემის მომზადება. ივ. ჯავახიშვილი ამ საქმის მონაწილეც იყო.

შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმში, რომელიც დაარსდა ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით და რომლის დირექტორის მოვალეობის აღმსრულებელი იყო იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ხანმოკლე დროში (1934—1941 წწ.), ჩატარდა ძალიან დიდი სამუშაო: დმანისში, ბოლნისში, გუდარეხში, გეგუთში და სხვა ადგილებში წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები. კედლის მხატვრობის პირების ვადმოღებაზე საქართველოს ყველა კუთხეში მუშაობდნენ ქართველი მხატვრები, კეთდებოდა ხელნაწერების მინიატურების პირები და სხვ. დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ტერმინოლოგიის შემუშავებისათვისაც. ყოველივე ამის შედეგად მომზადდა და შოთა რუსთაველის იუბილესათვის გაიხსნა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის ამსახველი გამოფენა. მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა მუზეუმის მუშაობის შესახებ როგორც შოთა რუსთაველის მუზეუმის საარქივო მასალები, ასევე ივ. ჯავახიშვილის მიმოწერა ლევან მუსხელიშვილთან და ვარლამ დონდუასთან.

განსაკუთრებით საინტერესოა აღწერილობის მეხუთე კარი — ივ. ჯავახიშვილის მიმოწერა. სამწუხაროდ, თვით ივ. ჯავახიშვილის მიწერილი წერილები არქივში ნაკლებადაა წარმოდგენილი.

მიმოწერის ქრონოლოგიური ფარგლები 45 წელს მოიცავს (1895—1940 წწ.). ივ. ჯავახიშვილის წერილები ნათლად მეტყველებენ მისი ინტერესების ფართო დიაპაზონზე. განსაკუთრებით საინტერესოა მიმოწერა ქართველ და უცხოელ (რუს და გეროპულ) მეცნიერებთან, სადაც არა ერთი და ორი საყურადღებო მეცნიერული საკითხია განხილული, როგორც ორიენტალისტიკის, ასევე სხვა სა-




მეცნიერო დისციპლინების სფეროდან. ყველა ასეთი მნიშვნელო-  
ბის წერილის აღნიშვნა ამ ხასიათის მიმოხილვაში შეუძლებელია.  
მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ ორ კორესპონდენციაზე: ნიკო მა-  
რისა და ივანე ჯავახიშვილის და ივანე ჯავახიშვილისა და ლევან  
მუსხელიშვილის მიმოწერაზე. პირველ შემთხვევაში ივანე ჯავახიშ-  
ვილი გვევლინება როგორც მოწაფე, მეორეში — მასწავლებელი.  
ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიმოწერაში კარგად აისახა პეტერ-  
ბურგში ერთობლივი მოღვაწეობის წლები, მასწავლებლისა და მო-  
წაფის ურთიერთობა. გეზი, რომლითაც ნ. მარმა წარმართა ივ. ჯა-  
ვახიშვილის მეცნიერული მომზადება, ზრუნვა მასწავლებლისა მო-  
წაფის მომავალზე და ის დიდი იმედები, რომელსაც ნ. მარი ამ-  
ყარებდა ივ. ჯავახიშვილზე ქართული მეცნიერების განვითარების  
საქმეში. თავის მხრივ ივ. ჯავახიშვილის წერილები ნ. მარისადმი  
გამსჭვალულია მასწავლებლისადმი დიდი პატივისცემით და მოწი-  
წებით (რაც მას ხელს არ უშლის გარკვეულ სიტუაციაში დარჩეს  
პრინციპული) და, ამასთანავე, სურვილით სათანადოდ მომზადე-  
ბულიყო, რომ ხელი შეეციდა მუშაობისათვის იმ დიდი პროგრამ-  
ით, რომელიც მასწავლებელსა და მოწაფეს ჰქონდათ დასახული.

მეორე მიმოწერაში ივ. ჯავახიშვილი უკვე თვით არის მასწავ-  
ლებელი და აქაც მოწაფეს და მასწავლებელს შორის დამყარებუ-  
ლია არაჩვეულებრივი ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის  
სიბო.

ამ მიმოწერაში ივ. ჯავახიშვილის წერილები, მისი სიცოცხლის  
უკანასკნელი წლისა და დღეების ცხოვრების ამსახველი, გადა-  
ტვირთულია შემოქმედისა და ადამიანის ყოველდღიური გაცდე-  
ბით და მომავალ გეგმებზე ფიქრით. ამ ფონზე მკაფიოდაა გამოკ-  
ვეთილი იმედი თავის ნოწაფისა. თუმცა ივ. ჯავახიშვილისათვისაც  
და ლ. მუსხელიშვილისათვისაც კარგად იყო ცნობილი ერთმანეთის  
ჯანმრთელობის მდგომარეობის უიმედობა, ყველა წერილში ოპტი-  
მისტური სიმხნევით ეხებოდნენ ამ საკითხს ურთიერთ სანუგეშებ-  
ლად. სახავდნენ მომავლის შორეულ პერსპექტივებს ერთმანეთის  
გასამხნეველად.

ამ კორესპონდენციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შოთა  
რუსთაველის მუზეუმის არქეოლოგიური გათხრების დაწერილები-  
თი „ანგარიშები“ (სადღეისოდ უკვე ისტორია) და ის სამეცნიერო  
პრობლემები, რომელსაც აღძრავდა გათხრებში მოპოვებული მასა-  
ლები.

2. ჯავახიშვილის არქივი



წერილების ერთი ნაწილი ასახავს ქართველ მეცნიერთა საქმიანობას თბილისის უნივერსიტეტში. მათ მეცნიერულ ინტერესებსა და მუშაობის მიმდინარეობას. საინტერესოა იმ ახალგაზრდა მეცნიერების წერილებიც, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში წარგზავნილი იყვნენ უცხოეთში განათლების მისაღებად. ეს წერილები მკაფიოდ მოწმობენ, თუ რა დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის მზარდ სამეცნიერო ძალას, როგორ აინტერესებდა მათი არა მარტო სამეცნიერო მიღწევები, არამედ ყოველდღიური ცხოვრებისეული წვრილმანებიც კი.

ამავე კატეგორიისაა ბევრი ჩვენი სახელმძღვანელო მეცნიერის წერილებიც, რომლებშიც გაზიარებულია მივლინებისას ან ექსპედიციაში მიღებული შთაბეჭდილებები და დაკვირვებები.

ივ. ჯავახიშვილის არქივში „ნარევის“ სახელწოდებით დაცული მასალაც ბევრ საინტერესოს მოიცავს. აქ, სხვათა შორის არის სხევების მიერ შესრულებული შრომები, როგორც მაგ. ილია ჭანდიერის მიერ ივ. ჯავახიშვილის დავალებით დაწერილი გამოკვლევა „ქართული ცხენის“ შესახებ (შოთა რუსთაველის საიუბილეო კრებული-სათვის) და საქართველოს ისტორიის პირველ სემინარზე, სტუდენტების მიერ დამუშავებული თემები და ბევრი სხვა.

ცხადია, ივ. ჯავახიშვილის არქივის ამ მოკლე მიმოხილვაში მთელი და თანაბარი სისავსით არაა წარმოდგენილი ყველა კარში აღწერილი მასალა, რადგან ეს უკვე საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენს. ჩვენ შევეცადეთ თვალის ერთი გადავლებით გამოგვეყო საკითხები და მასალები, რომლებიც შედარებით უფრო საყურადღებოდ მივიჩნიეთ.

ა. ბაქრაძე,

ნ. ჯავახიშვილი

## I ბიოგრაფიული მასალა

### 1. ივ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიის ანსახველი მასალები

#### 1. ივ. ჯავახიშვილის დაბადების მოწმობა.

1876 წ. 11 აპრილი. პირი, რუსულ ენაზე, გაცემული 1879 წ. 19/VII საქართველო-იმერეთის სინოდ. კანტორის მიერ აღექსანდრე ჯავახიშვილისადმი, 1 ფ. № 1

2. თბილისის პირველ გიმნაზიაში გამოცდების ჩაბარების მსურველთა სია სიმწიფის მოწმობის მისაღებად (სიაში ირიცხება ივ. ჯავახიშვილი).

1895 წ. 12 მაისი. პირი, ცხსა (თბ.), ფ. 422, საქ. 5223, ფ. 34—35, დაბეჭდილია საისტ. მბე, № 7\*.

3. ივ. ჯავახიშვილის სიმწიფის ატესტატი ჩაბარებული გამოცდების შეფასებით.

1895 წ. 12 ივნისი. ფოტოპირი, რუსულ ენაზე, 2 ცალად, 2 ფ., იგივე მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ. № 2

4. ივ. ჯავახიშვილის დახასიათება თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორის მარკოვის მიერ სპუ გასაგზავნად.

1895 წ. 17 ივნისი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 2 ფ. ცხსა (თბ.), ფ. 422, საქმე 5214, ფ. 113, 124. დაბეჭდილია საისტ. მბე, № 5.


5. მოწმობა ივ. ჯავახიშვილის სამხედრო გასაწვევ განყოფილებაზე მიწერის შესახებ, № 115.

1895 წ. 3 ივლისი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 3

6. ივ. ჯავახიშვილის განცხადება სპუ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე უნივერსიტეტში შესვლაზე.

<sup>1</sup> დედანი ინახება ГИАЛО, სპუ, ფ. 14.

• საისტორიო შთამბე, საქ. სსრ საარქივო სამმართველოს გამოც., 1967, № 20—21, იხ. თ. ტაბლიაშვილი, ივ. ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი (ქვეით ყველგან მითითებულია შემოკლებით: საისტ. მბე და ერთეულის ნომერი).



1895 წ. ავტოგრაფის ფოტოპირი, რუსულ ენაზე, იგივე მანქანაზე ნაბეჭდი, 2 ფ. № 4

7. მოწმობა ივ. ჯავახიშვილის სპბ უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენების ფაკულტეტზე სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ, № 170/95.

1895 წ. [ავვისტო]. ფოტოპირი, სტამბურად ნაბეჭდი, შევსებული ხელით, რუსულ ენაზე, 1 ც. № 5

8. ივ. ჯავახიშვილის მიერ უნივერსიტეტში შეტანილი საბუთების სია.

[1895 წ.]. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 6

9. ივ. ჯავახიშვილის განცხადება სპუ სტუდენტთა ინსპექტორის სახელზე მის მიერ 1895-99 წწ. მოსასმენი ლექციების შესახებ.

1895 წ. [ავვისტო-სექტემბერი] — 1899 წ. [თებერვალი]. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 6 ფ. №№ 7, 10, 15, 17, 24, 27

10. მოწმობა ივ. ჯავახიშვილის სპბ თავისუფალი ცხოვრების ნებართვის შესახებ, გაცემული სპუ სტუდენტთა ინსპექტორის მიერ.

1896 წ. 2 სექტემბერი — 1898 წ. 7 ოქტომბერი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 8, 25

11. ივ. ჯავახიშვილის ხელწერილი სპბ უნივერსიტეტში სტუდენტთა წესების დაცვის შესახებ.

1895 წ. 5 სექტემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 9

12. მასალები ივ. ჯავახიშვილის კავკასიაში შვებულებით წასვლის შესახებ.

1896 წ. 7 მაისი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, ფოტოპირი, რუსულ ენაზე, 5 ფ. №№ 11-14

13. მასალები ივ. ჯავახიშვილისთვის განათლების სამინისტროს სტიპენდიის დანიშვნასა და გაგრძელებაზე.

1896 წ. 12 ნოემბერი — 1898 წ. 29 აპრილი. მანქანაზე ნაბეჭდი პირი და სტამბურად ნაბეჭდი ფორმის ფოტოპირი, შევსებული ივ. ჯავახიშვილის ხელით, რუსულ ენაზე, 3 ფ.

№№ 16, 19, 20

2 დედანი ინახება ГИАЛО, სპუ, ფ. 14.

14. ივ. ჯავახიშვილის განცხადება სპუ სტუდენტთა ინსპექტორის სახელზე. თხოულობს პირადობის მოწმობას სამხედრო უწყებაში წარსადგენად. მეორე მხარეს ივ. ჯავახიშვილის პირადობის მოწმობა, გაცემული სპუ სტუდენტთა ინსპექტორის მიერ.

1897 წ. 11—13 მარტი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე.  
1 ფ. № 15

15. მასალები ივ. ჯავახიშვილის საზღვარგარეთ შევებულებით წასვლის შესახებ.

1898 წ. 4 მაისი — 13 მაისი. ავტოგრაფის ფოტოპირი, მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 4 ფ. №№ 21—23

16. Монастырская организация в древней Грузии и древней Армении по Степанозу Орбелиани и Грамотам Шно-мгвимского монастыря — ივ. ჯავახიშვილის მიერ სტუდენტობის დროს არჩეული თემის სახელწოდება.

[1898 წ.]. ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 26

17. ივ. ჯავახიშვილის სპუ-ში შესასვლელი ბილეთი 1899 წ. საგზაფხულო სემესტრის განმავლობაში.

1899 წ. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 28

18. მასალები ივ. ჯავახიშვილის მიერ სპუ აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სრული კურსის მოსმენის შესახებ.

1899 წ. 1 აპრილი — 20 აგვისტო. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, ფოტოპირი, რუსულ ენაზე, 3 ფ., 1 დიპლომი.

№№ 29, 31, 37, 40

19 აღმოსავლური ენების ფაკულტეტის შეკითხვა: ხომ არ არის წამოყენებული რაიმე მოთხოვნილება სტუდენტ ივანე ჯავახიშვილზე.

1899 წ. 3 აპრილი, მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 30

20. ცნობა ივ. ჯავახიშვილის საბუთების პოლიციაში გადაგზავნის შესახებ, გაცემული სპუ რექტორის მიერ.

1899 წ. 6 აპრილი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 32

21. ცნობა ივ. ჯავახიშვილის საბუთების სპუ სასწავლო ოლქის კანცელარიაში გადაგზავნის შესახებ, გაცემული სპუ რექტორის მიერ.

<sup>3</sup> დედანი ინახება ГИАЛО, სპუ, ფ. 14.

1899 წ. 9 აპრილი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე<sup>4</sup>, 1 ფ.

№ 33

22. მასალები ივ. ჯავახიშვილის სპუ დატოვების შესახებ სომხური სიტყვიერების კათედრის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე საპროფესოროდ მომზადების მიზნით.

1899 წ. 20 მაისი — 25 ივნისი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირები, ფოტობირები, რუსულ ენაზე<sup>4</sup>, 8 ფ.

№№ 34, 35, 36, 38, 39, 46, 47

23. მასალები ივ. ჯავახიშვილისათვის სამაგისტრო სტიპენდიის დანიშვნასა და გაგრძელებაზე.

1899 წ. 27 ნოემბერი — 1901 წ. 3 იანვარი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, ფოტობირი შავი ხელნაწერიდან და ბლანკზე<sup>4</sup>, 5 ფ.,

№№ 41—43, 48, 54

24. ცნობა ივ. ჯავახიშვილის მიერ ღვთისმეტყველებისა და გერმანული ენის ჩაბარების შესახებ VIII სემესტრში.

[1899 წ.]. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე<sup>5</sup>, 1 ფ.

№ 44

25. ივ. ჯავახიშვილის სტუდენტობის საბუთების სია.

[1899 წ.]. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე<sup>6</sup>, 1 ფ.

№ 45

26. ამონაწერი აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სხდომათა ეურნალიდან.

ა) № 2, საბჭოს კანცელარიის ცნობის განხილვა ივ. ჯავახიშვილისათვის საშტატო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ წლიურად 600 მან. რაოდენობით.

1900 წ., 11 მარტი.

ბ) № 13, ივ. ჯავახიშვილის განცხადების განხილვა მისი სამაგისტრო გამოცდებზე დაშვებისა და დადგენილება ამ გამოცდების გადადების შესახებ.

1900 წ. 17 მარტი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე<sup>6</sup>, 1 ფ.

№ 49

27. მასალები ივ. ჯავახიშვილის სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შესახებ.

<sup>4</sup> დედნები ინახება ГИАЛЮ, სპუ, ფ. 14.

<sup>5</sup> № 44 დაბეჭდილია: С. Джорбенадзе. Учреждения АН СССР и Тбилисский университет. Документы и факты. Тб., 1974, стр. 120—121.

<sup>6</sup> დედანი ინახება ГИАЛЮ, სპუ, ფ. 14.

1900 წ. 7 ნოემბერი — 1901 წ. 27 იანვარი — 2 მარტი. მანქანა-ზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 12 ფ.

№№ 50—53, 55—58

28. ივ. ჯავახიშვილის კლაუზურული თემა ქართული სიტყვიერების სამაგისტრო გამოცდებზე, წარდგენილი ნ. მარის მიერ.

1901 წ. 14 მარტი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, ქართულ-რუსულ ენებზე, 1 ფ.

№ 59

29. მასალები ივ. ჯავახიშვილის გერმანიაში სამეცნიერო მივლინებაში წასვლის შესახებ.

1901 წ. 23 მარტი — 24 აპრილი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, ფოტო-პირი შავი დედნიდან, ბლანკზე, რუსულ ენაზე, 2 ფ.

№№ 60, 62

30. ამონაწერი აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სხდომათა ოქმებიდან.

ა) № 5, § 5. ნ. მარის განცხადება ივ. ჯავახიშვილის კლაუზურული წერილობითი სამუშაოს შეფასების შესახებ.

ბ) № 8, § 5. პროფ. ვესელოვსკის და ნ. მარის განცხადება ივ. ჯავახიშვილის და ინოსტრანცევის უნივერსიტეტში კიდევ ერთი წლით დატოვების შესახებ იმავე პირობებით.

1901 წ. 23 მარტი — 21 აპრილი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

№ 61

31. აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობა სპუ რექტორთან ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში დატოვების ვადის გაგრძელების შესახებ ნ. მარის წარდგინების საფუძველზე.

1901 წ. 27 აპრილი. ფოტოპირი, ბლანკზე, რუსულ ენაზე, 1 ფ.

№ 63

32. სიგელი მიცემული ბერლინის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორის გუსტავ ადოლფ ჰარნაკის (Gustavo Ad Harnack) მიერ ივ. ჯავახიშვილისადმი მისი ფილოსოფიის ფაკულტეტის ნამდვილ წევრად ჩარიცხვაზე.

1901 წ. 4 ივნისი. ბერლინი, დედანი, სტამბურად ნაბეჭდი, ლათინურ ენაზე, ჰარნაკის ხელმოწერით, 1 დიდი ზომის ფ.

№ 64

33. მოწმობა მიცემული ფრიდრიხ ვილჰელმის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფიის ორდენის დეკანის პროფ. ფიეჰენიუსის

<sup>7</sup> დედანი ინახება ГИАЛО, სპუ, ფ. 14.

(Fiehenius?) მიერ ივ. ჯავახიშვილისადმი, მისი ფილოსოფიის ფაკულტეტის ნამდვილ წევრად მიღების შესახებ.

1901 წ. 5 ივნისი. ბერლინი, დედანი, სტამბურად ნაბეჭდი, ლათინურ ენაზე, ფიფქენიუსის ხელმოწერით, ბეჭდით დამოწმებულა, 1 ფ. № 65

34. ამონაწერი ოქმიდან № 11, § 3. ივ. ჯავახიშვილის სპ უნივერსიტეტში დატოვების ვადისა და სტიპენდიის გაგრძელების შესახებ.

1901 წ. 24 აგვისტო. მანჯანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 66

35. ნიკო მარის მოხსენებითი ბარათი აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სახელზე ივ. ჯავახიშვილის გერმანიაში სამეცნიერო მივლინებისა და მის მიერ ბერლინის უნივერსიტეტში ჩატარებული სამუშაოების თაობაზე.

1901 წ. 15 სექტემბერი. მანჯანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 67

36. ამონაწერი აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან № 13, § 4 და ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობა სპურექტორის მიმართ ივ. ჯავახიშვილის ბერლინში სამეცნიერო მივლინების გაგრძელების შესახებ 1902 წ. 1 აპრილამდე ნ. მარის წარდგინების საფუძველზე.

1901 წ. 15 სექტემბერი — 1902 წ. 10 ოქტომბერი. მანჯანაზე ნაბეჭდი, პირი, ფოტოპირი, რუსულ ენაზე, 2 ფ.

№№ 68, 78

37. მასალები ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მივლინებაში გაზავენის შესახებ სინას მთაზე.

1902 წ. 24 იანვარი — 2 მარტი. მანჯანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 3 ფ. №№ 69, 70

38. ივ. ჯავახიშვილის ვიზა-პასპორტი № 117/226, მისი არაბეთში გასამგზავრებლად.

1902 წ. 28 მარტი. დედანი, შევსებული რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, 1 დიდი ფ. № 71

39. ივ. ჯავახიშვილის ვიზა კონსტანტინოპოლიდან სინას მთაზე გასამგზავრებლად.

<sup>8</sup> დედანი ინახება ГИАЛО, სპუ, ფ. 14.

1902 წ. [აპრილი-სექტემბერი]. დედანი, თერქულ ენაზე, 1 დი-  
ლო ფ. № 72

40. მასალები გ. ხალათიანცის (Г. Халатяни) სადოქტორო  
დისერტაციის დაცვის შესახებ (ივ. ჯავახიშვილის ოპონენტად და-  
ნიშვნისა და მისთვის ფულადი ანაზღაურების გაცემასზე).

1903 წ. 25 თებერვალი — 30 დეკემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი, პი-  
რი, რუსულ ენაზე, 2 ფ. №№ 74, 76

41. პირადობის მოწმობა № 2419 ივ. ჯავახიშვილისათვის  
უვადო პასპორტის მისაღებად და პასპორტი № 214 გაცემული  
სპუ მიერ 1907 წ. 11 თებერვლამდე.

1903 წ. 13 დეკემბერი — 1904 წ. 11 თებერვალი. შავი დედნის  
ხელნაწერისა და მანქანაზე ნაბეჭდის ფოტოპირი, შევსებული  
ივ. ჯავახიშვილის ხელით, რუსულ ენაზე, ჟდანოვის (Жданов) და  
მელიორანსკის (Мелиоранский) ხელმოწერით, პასპორტის მიღე-  
ბაზე ხელს აწერს ივ. ჯავახიშვილი, 2 ფ.

№№ 75, 77

42. ივ. ჯავახიშვილის რაპორტი სპუ რექტორის სახელზე მისი  
დალესტანში გამგზავრების განზრახვის შესახებ (1904 წ. მაისის  
ბოლომდე) ამ მხარის ეთნოგრაფიული შესწავლის მიზნით.

1904 წ. 10 აპრილი. ავტოგრაფის ფოტოპირი, რუსულ ენაზე,  
1 ფ. № 78

43. ივ. ჯავახიშვილის პასპორტის მე-9 გვ. § 11 — ცვლილე-  
ბები საზოგადოებრივ და ოჯახურ მდგომარეობაში (ჩანაწერი  
ივ. ჯავახიშვილის ქორწინების შესახებ ანასტასია ნიკოლოზის ას.  
ჯამბაყურ-ორბელიანთან).

1906 წ. 30 ოქტომბერი. ფოტოპირი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

№ 79

44. ივ. ჯავახიშვილის მიერ სპუ მოსმენილი კონცერტების პრო-  
გრამები.

1906—1909 წწ. სტამბურად ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 20 ც. (48 ფ.).

№ 80

45. მასალები ივ. ჯავახიშვილის სამაგისტრო დისერტაციის  
დაცვის შესახებ

1907 წ. 7—21 მაისი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, ფოტოპირი ბლანკ-  
ზე, რუსულ ენაზე, 7 ფ. №№ 81—85

46. მასალები ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მივლინების შესა-  
ხებ საქართველოში (არდადეგების პერიოდში).

<sup>9</sup> დედანი ინახება ГИАЛО, სპუ, ფ. 14.

1909 წ. 13 მარტი — 4 აპრილი. მანქანაზე ნაბეჭდი, ხელნაწერი<sup>10</sup>  
და მანქანაზე ნაბეჭდის ფოტოპირი ბლანკზე, რუსულ ენაზე<sup>10</sup>,  
4 ფ. №№ 86—88

47. ივ. ჯავახიშვილის განცხადება № 1119 სპუ რექტორის სა-  
ხელზე პრივატდოცენტობის მოწმობის მისაღებად და მოწმობა  
№ 2215 სახელმწიფო დუმის არჩევნებში მონაწილეობის უფლების  
მოსაპოვებლად.

1909 წ. 18 სექტემბერი. მანქანაზე ნაბეჭდის ფოტოპირი, ბლანკზე,  
განცხადება შევსებული ივ. ჯავახიშვილის ხელით, რუსულ ენაზე<sup>10</sup>,  
2 ფ. №№ 89, 90

48. სპ მე-8 უბნის სასამართლოს მიმართვა № 2208 სპუ კან-  
ცელარიისადმი და ამ უკანასკნელის პასუხი № 2304 შეკითხვაზე,  
არის თუ არა უნივერსიტეტში ქართული ენის მცოდნე. დასახელე-  
ბულია ივ. ჯავახიშვილი და აღნიშნულია მისი მისამართი.

1909 წ. 22—24 სექტემბერი. ხელნაწერისა და მანქანაზე ნაბეჭდის  
ფოტოპირი, ერთი ბლანკზე, რუსულ ენაზე, 2 ფ.

№№ 91—92

49. აღმოსავლური ენების ფაკულტეტის საჯარო სხდომის ოქ-  
მი № 16 იოსებ ყიფშიძის დისერტაციის დაცვის შესახებ. ოპონენ-  
ტად მოხსენებულია ივ. ჯავახიშვილი.

1914 წ. 23 ნოემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე<sup>10</sup>,  
1 ფ. № 93

50. ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარისა და ი. ყიფშიძის განცხადება  
აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სახელზე მათ მიერ ძველი  
ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენისა და და-  
ბეჭდვის თაობაზე.

[1915 წ.] 27 თებერვალი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენა-  
ზე<sup>10</sup>, 1 ფ. № 94

51. ივ. ჯავახიშვილის განცხადება აღმოსავლური ენების ფა-  
კულტეტის სახელზე თავისი ნაშრომის „Царь и органы управле-  
ния в Грузии в IX—XIII вв.“ დაბეჭდვისა და ამასთან დაკავში-  
რებით ფულადი სახსრების გაღების თაობაზე.

1916 წ. დეკემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, რუსულ ენაზე, 1 ფ.  
№ 95

52. ივ. ჯავახიშვილის სადარბაზო ბარათები (სპუ დოცენტი,  
თსუ რექტორი).

<sup>10</sup> დედანი ინახება ГИАЛО, სპუ, ფ. 14.

53. ივ. ჯავახიშვილის ბიოგრაფია მისი ფოტოსურათით, საგაზე-  
თო წერილი.

[1918 წ.]. იანვარი. ვაზეთიდან ამონაქერის როტოპირი, 1 ფ.  
№ 97

54. ივ. ჯავახიშვილის საფრანგეთში დელეგატობის სადარბაზო  
ბარათი.

[1918 წ.]. სტამბურად ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ც.  
№ 98

55. ივ. ჯავახიშვილის ბიოგრაფია და სამეცნიერო მოღვაწეობა,  
წერილი ქურნ. მომავალში<sup>11</sup>.

[1920 წ.]. ამონაქერის როტოპირი, 2 ფ. № 99

56. ივ. ჯავახიშვილის ბიოგრაფია და სამეცნიერო შრომების  
დასახელება, საგაზეთო წერილი.

[1923 წ.]. გაზეთის<sup>12</sup> ამონაქერის როტოპირი, „საიხელი“-ს ხელმო-  
წერით, 2 ფ. № 100

57. ივ. ჯავახიშვილის თსუ რექტორობის მოწმობა № 3436.

1924 წ. 6 ოქტომბერი. მანქანაზე ნაბეჭდი, დედანი, შტამპიან ფურ-  
ცელზე, თსუ პრორექტორის შალვა ნუცუბიძის და საქმეთა მმართველის ნ. ნეიშანის ხელმოწერით, დამოწმებული თსუ ბეჭდით, 1 ფ.  
№ 101

58. „ჩვენი მეცნიერება“ — სამეცნიერო-პოპულარული კრე-  
ბული, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადებას 50 წლისთავისადმი.

1926 წ. № 17—18, თბ., 1 ც. № 102

59. ივ. ჯავახიშვილის განცხადება განათლების კომისარიატთან  
არსებულ მთავარ სალიტერატურო სამმართველოს სახელზე თავისი  
ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიის“<sup>13</sup> გამოცემის ნებართვის თა-  
ობაზე.

1928 წ. 27 ოქტომბერი. ავტოგრაფი, ხელმოწერილი, 1 ფ.

№ 103

60. სხვადასხვა წიგნაკი (ურთიერთდამხმარე სალაროს, მეც.  
მუშაკის, პროფკავშირის, საქ. მუზ. ხელნაწერთა განყ. კონსულტან-

<sup>11</sup> მელიქსედ-ბეგი ლონ. ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი, 1920 № 1.

<sup>12</sup> გაზ. „ლომისი“ 1923, თბ., № 21, გვ. 2.

<sup>13</sup> წიგნი 1, გამ. 3, შევსებული და გადამუშავებული, თბ., 1928.

ტის, ორდენის, პერსონალური პენსიონერის, ენიშვნის, საშემგებართო  
ბილეთი) და პირადი სააღრიცხვო ბარათები.

1930 წ. 15 მარტი — 1939 წ. სტამბურად ნაბეჭდი. მუყაოს ყდებში,  
ფოტობირი, ქართულ და რუსულ ენებზე, 11 ცალი, 4 ფ.

№№ 104—107, 110, 113, 118, 119, 121, 125, 128, 129

61. ბრძანება № 3, თბილისის სამეცნ. კვლევითი ფარმაცევტიკული  
ქიმიის ინსტიტუტისადმი, პროფ. ივ. ჯავახიშვილის ინსტიტუტის  
სატერმინოლოგიო განყოფილების გამგედ დანიშვნის შესახებ  
1934 წ. 15 იანვრიდან (საფუძველი ჯანსაჩქომის განკარგულება).

1934 წ. 16 იანვარი. მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, 1 ფ.

№ 108

62. ივ. ჯავახიშვილის სათვალის რეცეპტები, გამოწერილი  
ვახტანგ და სოლომონ ვახტანგის ძე მუსხელიშვილების მიერ.

1934 წ. 30 ოქტომბერი — 1940 წ. 2 მაისი. ბლანკზე, 2 ფ.

№№ 109, 131

63. ივ. ჯავახიშვილის ავტობიოგრაფია და შრომების სია.

[1936—37 წ.]. სხვისი ხელით ნაწერი, მანქანაზე ნაბეჭდი, ქართულ  
და რუსულ ენებზე, 12 ფ.

№№ 111—112

64. მეცნიერთა დამხმარე კომისიის (Комиссия содействия  
ученым) მიმართვა № Н—11 ივ. ჯავახიშვილისადმი. სთხოვენ ბიო-  
გრაფიული ცნობების მიწოდებას (განმეორებით).

1937 წ. 28 მაისი. მოსკოვი—თბილისი. მანქანაზე ნაბეჭდი, ბლან-  
კზე, რუსულ ენაზე, ე. გურსკის ხელმოწერით (Е. Гурский), 1 ფ.

№ 114

65 ცნობა № 8 ივ. ჯავახიშვილის ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორის ხარისხის დამტკიცების შესახებ (საფუძველი: განსახ-  
კომის რესპუბლ. საკვალიფიკაციო კომისიის ოქმი № 1, 1935 წ.  
27/11).

1937. 21 ივნისი. პირი, გადაწერილი ივ. ჯავახიშვილის ხელით, რუ-  
სულ ენაზე, 1 ფ.

№ 115

66. დადგენილება უმაღლესი სკოლებისა და სამეცნ. დაწესე-  
ბულებების პროფკავშირის სრულიად საქართველოს რესპუბლიკუ-  
რი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომისა ივ. ჯავახიშვილის 2000 მან.  
დაჯილდოების შესახებ თსუ დაარსებიდან 20 წლისთავთან დაკავ-  
შირებით (ამონაწერი ოქმიდან № 9).

1938 წ. 29 მაისი. მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკზე, გუგუშვილის და  
ჯობთაბერიძის ხელისმოწერით, 1 ფ.

№ 116

67. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წ. 15 ივნისის ბრძანებულება პროფ. ივ. ბერიტაშვილის და ივ. ჯავახიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

1938 წ. გაზ. კომუნისტი, 17 ივნისი, № 138. გაზ. მუშა, 16 ივნისი, № 136, ამონაწერი გაზ. Заря Востока-დან, 15 ივნისი. ქართულ და რუსულ ენებზე, 2 გაზეთი, 1 ამონაწერი. № 117

68. ცნობა ივ. ჯავახიშვილის სმენის აპარატისათვის.

1938 წ. 1 ოქტომბერი. ხელნაწერი, რუსულ ენაზე, ბეჭდით, 1 ფ. № 120

69. ჩანაწერები ავტობიოგრაფიული ხასიათისა, ეხება გიმნაზიონის წლებს, მამასთან ერთად დაზვერვით არქეოლოგიურ ექსპედიციებს, სპუ სწავლას და თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას.

[1938—39 წ.]. ავტოგრაფი, შავი ლენანი, ფაქტობრივ ნაწერი, 41 ფ. №№ 122, 123

70. ფირფიტები ივ. ჯავახიშვილის საუბრის ჩანაწერით.

[1938—39 წ.]. 2 ც. № 124

71. გაზეთი „მუშა“, ივ. ჯავახიშვილის ფოტოსურათი თავის შვილიშვილებთან ერთად (იუბილესთან დაკავშირებით).

1939 წ. 4 თებერვალი. № 28, 1 ც. № 126

1165. ეხება სინას ქართული ხელნაწერების გრაცში მოხვედრის ცნობას.

pers. [ალექსანდრე] ცაგარელი.  
1928 წ. 2 აგვისტო. კემბრიჯი (აშშ) — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკზე, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1655

1166. ეხება თავის მომავალი მუშაობის გეგმას და ულოცავს უნივერსიტეტის სავამომცემლო საქმის მოწესრიგებას.

1929 წ. 10 ივლისი. კემბრიჯი (აშშ) — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკზე, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 1656

1167. აცნობებს „ეკონომიური ისტორიის“ მეორე ტომის მიღებას, აღნიშნავს, რომ თვითონაც მუშაობს ამ დარგში.

1935 წ. 9 სექტემბერი. კემბრიჯი (აშშ) — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკზე, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 1657

ბ ლ ე კ უ ე ლ ი ბ. (Blackwell B. H.)

1168. უგზავნის კატალოგებს და ჰპირდება, რომ მისი შეკვეთები ყურადღებით იქნება განხილული.

1924 წ. 9 მაისი. ოქსფორდი — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკზე, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.  
თან ახლავს რ. ბლეიკის (R. P. Blake) სახელზე ანგარიში. № 1658

ბ ო კ ე რ ი ა ა ლ.

1169. „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების“ ბეჭდვასთან დაკავშირებით.

1937 წ. 9 ივლისი. ბლანკზე, 1 ფ. № 1659

ბ ო რ ო ზ დ [ი ნ ი] ა. (Борозд[ин] А.)

1170. [ალექსანდრე ნიკოლოზის ძე] ორბელიანისა და ს. თარხნიშვილის დავის შესახებ.

1906 წ. 5 თებერვალი. სპბ, რუსულ ენაზე, ხელმოწერა არ ირჩევა, 1 ფ. № 1660

ბ ო კ ო რ ი შ ვ ი ლ ი ფ.

1171. სთხოვს განუმარტოს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი.

ბ რ ე კ ე ნ ფ ე ლ დ ე რ ი პარი. (Breckenfelder Harry).

1172. მიმართავს დახმარებისათვის ბიბლიოგრაფიული მასალის მისაღებად.

pers. Hestermann.

1924 წ. 4 ივლისი. პამბურგი — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკზე, გერმანულ ენაზე, 1 ფ. № 1662

ბ რ ო კ პ ა უ ზ ი ფ. ა. (Brockhaus F. A.).

1173. ხელმეორედ უგზავნის კითხვარს — შესავსებად.

1928 წ. 14 ივნისი. ლაიპციგი — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკზე, გერმანულ ენაზე, 2 ფ., 1 კონე. თან ახლავს სტამბურად ნაბეჭდი კითხვარი. № 1663

გ ა ბ ა შ ე ი ლ ი გიგო<sup>15</sup>.

1174. სთხოვს დახმარებას მისი ნათესავის დარია ელფეთერო-ვასთავის პენსიის დანიშვნის საქმეში. ეხება ქართველი ინტელი-გენციის მდგომარეობას.

1914 წ. 7 მარტი. თბილისი — სპბ, რუსულ-ქართულად, 2 ფ. № 1664

გ ა დ ი ლ ი ა ვ. [ვასილ].

1175. აკრიტიკებს „ქართველი ერის ისტორიის“ თუმანიშვილი-სეულ გამოცემას და სთხოვს მას მიანდოს ამ ნაშრომის მეორე გა-მოცემა.

pers. პ. თუმანიშვილი.

1911 წ. 23 თებერვალი. თბილისი — სპბ, 3 ფ. № 1665

გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა კოწია [კონსტანტინე].

1176. თხოულობს მიღებას.

pers. პროფ. ერდმანი.

1921 წ. 21 იანვარი. თბილისი, ბლანკზე, 1 ფ. № 1666

1177. სთხოვს დატოვონ უნივერსიტეტში დას. ევროპის ისტო-რიის კათედრაზე მოსამზადებლად. აქვე ეხება თავის მუშაობის გეგ-მას.

pers. კიტა [აბაშიძე], პროფ. მიცოხიძე, პროფ. შიშანი, მიხაკო წე-რეთელი.

<sup>15</sup> არა მხატვარი. ივ. ჭავჭავაძის სიყრმის მეგობარი.

1178. ეხება ბერლინიდან პარიზში გადასვლის მიზეზებს. გერმანიაში არსებულ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, თავის მომავალი მუშაობის გეგმებს და ითხოვს უნივერსიტეტიდან მატერიალურ დახმარებას.

1923 წ. 20 აპრილი. პარიზი — თბილისი, 2 ფ.

№ 1668

1179. აწვდის სახნისის ნაწილების მეგრულ შესატყვისებს და ნახაზს.

pers. [ალექსანდრე] გამსახურდია.

1929 წ. 23 სექტემბერი. თბილისი, 1 ფ.

№ 1669

გ ა რ ი რ ი ა ნ ი. (Гарирян).

1180. უთვლის მადლობას (ტელეგრამა).

1940 წ. 1 ნოემბერი. ერევანი — თბილისი, ბლანკზე, რუსულ უნაზზე, 1 ფ.

№ 1670

გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ი. [იოსებ].

1181. აცნობებს ი. ჭავჭავაძის ფსევდონიმებს და სთხოვს ცნობებს გრინფელდის „ლიმიტრი თავდადებულისათვის“ ნახატების შესასრულებლად.

1913 წ. 21 იანვარი. თბილისი, 1 ფ.

№ 1671

გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ნ.

1182. უხდის მადლობას წაკითხული საჯარო ლექციისათვის (საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში).

[1936—37 წ.]. მანჯანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

№ 1672

გ ე ლ ო ვ ა ნ ი ნ ი ნ <sup>16</sup>.

1183. გამოთქვამს თავის შეხედულებას მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოში საქართველოს წარმომადგენლების გაგზავნის გამო.

pers. ზ. ავალიშვილი, აკ. შანიძე, ალ. ჩერქეზიშვილი, გ. ხუნდაძე [1917 წ.] ივლისის შემდეგ. სპბ, ჭიმოური ფანქრით ნაწერი, 4 ფ.

№ 1673

1184. კერძო ხასიათის.

pers. ნ. თავდგირიძე, [ვახო] რატიშვილი.

1940 წ. 10 ნოემბერი. თბილისი, 2 ფ.

№ 1674

<sup>16</sup> ივ. ჯავახიშვილსა და კიტა იბაშიძეს ერთად.



გ ე ნ ო.

1185. აცნობებს ავტოკეფალიის დადებითად გადაწყვეტას.

pers. ნინო გელოვანი, აკაკი [შანიძე].

[1918 წ.] 1 ფ.

v-ზე ივ. ჭავჭავაძის ხელით ჩამოწერილია ქართული უნივერსიტეტის პროფესორების გვარები.

№ 1675

გ ლ უ ბ ო კ ო ვ ს კ ი ნ. ნ. პროფ. (Глубоковский Н. Н. проф.).

1186. ეხება ივ. ჭავჭავაძისათვის სარედაქციოდ გაგზავნილ საეკლესიო ხასიათის წერილებს კავკასიისა და საქართველოს შესახებ.

1905 წ. 4 ოქტომბერი. სპბ, პირად შტამპიან ბლანკზე, რუსულ ენაზე, 2 ფ.

№ 1676

გ ო ბ ე ჩ ი ა ი ო ს ე ბ.

1187. ეხება უნივერსიტეტის ლაბორატორიის მოწყობას.

1919 წ. 7 ივნისი. პარიზი, ორცხა (თბ.), ფ. 471, აღწ. 1, საქ. 27, ფ. 11.

დაბეჭდილია საისტ. მბე, № 38.

გ ო ბ რ ო ნ ი მ ი ხ ე ი ლ.

1188. აინტერესებს მიიღო თუ არა ახალი რუსულ-სომხური ლექსიკონი.

1933 წ. 24 ოქტომბერი. ერევანი — თბილისი, 1 ფ.

№ 1677

გ ო გ ი ტ ი ძ ე ს. [სიმონ.].

1189. ეხება უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებას მისი უნივერსიტეტის პროფესორად არჩევის შესახებ. სთხოვს ოფიციალურ ნებართვას წამოსასვლელად.

1921 წ. 1 ივლისი. ოფესა — თბილისი, 1 ფ.

№ 1678

1190. მაღლობას უთვლის საქართველოს ექიმთა მე-4 კონგრესისადმი წერილობით მისალმებისათვის.

1926 წ. 21 მაისი. თბილისი, 1 ფ., 1 კონვ.

№ 1679

გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი ფ ი ლ ი ბ ე.

1191. სთხოვს ითანამშრომლოს გაზ. ივერიაში, აცნობს პირობებს.

pers. ზურაბ ავალიშვილი.

1905 წ. 5 თებერვალი. თბილისი — სპბ, 1 ფ.

№ 1680

გ ო გ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ნ ი ნ ო.

1192. კერძო ხასიათისა.

1193. სთხოვს დახმარებას თბილისში მასწავლებლად მოსაწყობად.

1912 წ. 19 ივლისი. თელავი — თბილისი, 1 ფ. № 1682

1194. მოლოცვის ბარათი.

1927 წ. 2 იანვარი. თელავი — თბილისი, 1 ც. № 1683

გოგოლაშვილი ი. [იოსებ].

1195. ეხება „ქართველი ერის ისტორიის“ გამოცემის საკითხს.

1914 წ. 20 თებერვალი. თბილისი — სპბ, „სახალხო ვაჭეთის“ შტამპიან ბლანკზე, 1 ფ. № 1684

1196. სთხოვს მისცეს ახსნა-განმარტება ატენის სიონის შესახებ.

1916 წ. 10 ივლისი. თბილისი — ხოვლე, ბლანკზე, 1 ფ. № 1685

1197. ეხება ანტონ ეპისკოპოსის გადაწყვეტილებას ატენის სიონის განახლებისათვის თანხის გაღებაზე.

pers. მუსაევი, [დიმიტრი] შავარდნაძე.

1916 წ. 21 ივლისი. თბილისი, 2 ფ. № 1686

გოგოლაძე გ. [გიორგი ლაზარეს ძე].

1198. სთხოვს გამოუგზავნოს მისი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ II წიგნი.

pers. აღ ბარამიძე, ნიკო ბერძენიშვილი.

1935 წ. 4 მარტი. სოფ. ბარაღეთი — თბილისი, 1 ფ.

№ 1687

1199. აცნობებს, რომ აგროვებს ხალხურ ლექსებს და ზღაპრებს.

1937 წ. 14 დეკემბერი. ბარაღეთი — თბილისი, 3 ფ., 1 კონვ.

№ 1688

1200. უჩივის პასუხის მიუღებლობას.

1938 წ. 10 იანვარი. სოფ. ბარაღეთი — თბილისი, 1 ფ., 1 კონვ.

№ 1689

1201. ეხება ახალქალაქის რაიონის კულტურის ძეგლთა საავარიო მდგომარეობას და სთხოვს რეკომენდაციას ძეგლთა დაცვის განყოფილების რწმუნებულად დასანიშნად.

1202. აცნობებს სოფ. ბალანთაში შემთხვევითი ხასიათის სამუ-  
შაოების დროს არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის შესახებ.  
სთხოვს მიექცეს ყურადღება.

1940 წ. 4—18 ივლისი. ბარალეთი — თბილისი, 2 წერილი, 2 ფ.

№ 1691—1692

გ რ გ ო ლ ა ძ ე კ .

1203. სთხოვს დაეხმაროს მის მიერ პეტერბურგში საცენზურო  
კომიტეტში გაგზავნილი ლექსების დაბეჭდვაში.

pers. 5. შარი.

18 სექტემბერი, ბათუმი — [სპბ], 1 ფ.

№ 1693

გ ო რ გ ა ძ ე ს. [სერგო].

1204. უგზავნის თავის ნაშრომებს.

1914 წ. 31 მარტი. თბილისი — სპბ, 1 ფ.

№ 1694

გ ო რ დ ე ლ ა ძ ე ე რ .

1205. სთხოვს ხელი შეუწყოს აზერბაიჯანის წარმომადგენელს  
რუსთაველის ეპოქის გამოფენის საკითხებთან დაკავშირებით.

1937 წ. 31 აგვისტო. თბილისი, წითელი მეღვინე ნაწერი, ბლანკზე,  
1 ფ.

№ 1695

გ რ ე კ ო ვ ი ბ. [ბორის დიმიტრის ძე]. (Греков Б.).

1206. სთხოვს გაუგზავნოს „სსრკ ისტორიის“ შეიდტომეულში  
მოთავსებულ მის სტატიისათვის საილუსტრაციო მასალა.

1938 წ. 15 ოქტომბერი. მოსკოვი — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი,  
ბლანკზე, რუსულ ენაზე, 1 ფ.

№ 1696

1207. მოსკოვში მიწვევის ტელეგრამა [სსრკ ხალხთა ისტორი-  
ის] I და II ტომის განხილვაზე.

[1939—40 წ.]. მოსკოვი — თბილისი, ტელეგრამის ბლანკზე, მან-  
ქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 ც.

№ 1697

1208. სთხოვს მიუთითოს კონკრეტულად სსრკ ისტორიის მე-  
სამე წიგნში გასასწორებელი ადგილები.

1940 წ. 15 ივლისი. მოსკოვი — თბილისი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

№ 1698

გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი. [იოსებ].

1209. მის მიერ მიტანილი წიგნების შესახებ.

1940 წ. 30 ოქტომბერი. თბილისი, ფანქრით ნაწერი, 1 ფ.

№ 1699



9. იქნენ ჯგერმეული ნიკო მამონ და მის ოჯახთან ერთად ანისის ვახუშტზე, 1904 წ.



10. ივანე ჯავახიშვილი — თბილისის უნივერსიტეტის რექტორი [1919 წ.]



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მუზეუმი

11. ივ. ჯავახიშვილი მსგ.-ს სტუდიულის მსგორის სემინარში მომღვაწეთა  
პირველი ჯგუფი. [1922 წ.]



12. ივ. ჯავახიშვილი მსუბუქი სუბორბის სემინარიაში მომსახურება მარტელ  
ქალღმერთი. 1922 წ.





საქართველოს  
სტუდიური  
ფოტოგრაფია

14. ავანგუარდული თეატრის მოწვევებთან: ს. კანაია, ნ. სერბისკინა, ა. თანჯიკია  
და თ. კვარაცხელია. [1929 წ.]



ჩემი ძვირფასი პატივსაცემი  
 პრ. აკადემიკოსი ბიჭ. ბიჭი  
 ვუბრუნებ ამ ბიჭს.

16. ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიის თავფურცელი, მიძღვნის წარწერით.  
 [1925-26 წწ.]

გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ევგენი გიორგის ძე.

1210. სთხოვს დახმარებას სადიპლომო შრომის დამუშავებაში.

pers. კიტა აბაშიძე.

[1907 წ.]. მოსკოვი, 2 ფ.

№ 1700

გ უ რ გ ე ნ ი ძ ე გივი<sup>17</sup>.

1211. მიმართავს თხოვნით უხელმძღვანელოს მის დისერტაცი-  
ის ისტორიული ნაწილის დამუშავებას.

pers. პროფ. ვეიშანი და ლონტიევი.

1938 წ. 5 ივლისი. თბილისი, 2 ფ.

№ 1701

და დ ი ა ნ ი შალვა.

1212. ბოდის იხდის მის მიერ რომან „გიორგი რუსში“ დაშე-  
ბული ისტორიული სინამდვილის დარღვევა-შელამაზებისათვის.

1927 წ. 24 მარტი. თბილისი, 1 ფ.

1702

და ნ გ ა ძ ე დათიკო [დავით].

1213. ეხება სიღნაღში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსე-  
ბის საკითხს.

1939 წ. 8 ოქტომბერი. სიღნაღი — თბილისი, 2 ფ.

№ 1708

1214. აძლევს შეკითხვებს ქიზიყის ისტორიულ წარსულთან  
დაკავშირებით.

1940 წ. 17 ივლისი. სიღნაღი — თბილისი, 1 ფ.

№ 1704

დე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ. [შოა არავვისპირელი].

1215. ეხება მის მიერ ზოოლოგიური მუზეუმისათვის გაგზავ-  
ნილ ცხვრის თავებს და იძლევა განმარტებას მათ შესახებ.

[1910 წ.]. თბილისი — სპბ, 2 ფ.

№ 1705

დე ე ტ ე რ ს ი გ. (Deeters G.).

1216. აღნიშნავს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მნიშ-  
ვნელობას და გამოთქვამს სინანულს, რომ ძველი წყაროები ნაკ-  
ლებ მასალას იძლევიან ამ საკითხების დასამუშავებლად.

1935 წ. 15 ივლისი. ბონი — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკ-  
ზე, გერმანულ ენაზე, 1 ფ., 1 კონ.

№ 1706

დე კ ა ნ ო ზ ი შ ვ ი ლ ი დ.

1217. ეხება მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულების შემა-  
ფერხებელ მიზეზებს. (მათემატიკური ტერმინების ამოკრება).

<sup>17</sup> მოსკოვის სახ. მეურნეობის აღრიცხვის ინსტიტუტის ასპირანტი.

pers. ბროსე.

1915 წ. 15 თებერვალი. სპბ, 2 ფ.



დეკანოსიძე ივანე ვლადიმირის ძე და ქუთათელაძე კონია.  
1218. ეხება მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტთან არსებული  
აკ. წერეთლის სახ. ქართული კულტურული წრისთვის სახელმძღვა-  
ნელოთა სიის მიწოდებას ქართული სამართლის დარგში.

[1913 წ.]. მოსკოვი — [სპბ], 2 წერილი, 2 ფ.

№№ 1708, 1709

დემურიაშ. [მარიაშ].

1219. აცნობებს ეურნ. „ნაკადულის“ დაარსების განზრახვას,  
სთხოვს თანამშრომლობას და დახმარებას საცენზურო კომიტეტში  
ნებართვის მიღებაზე.

pers. ზ. ავალიშვილი, [ელისაბედ] დავითის ას. ერისთავი, [ნინო]  
ზურაბიშვილი, [ნინო ელიზბარის ას.] ჭობულაშვილი.

1904 წ. 2 თებერვალი. თბილისი — სპბ, 2 ფ.

№ 1710

დიასამიძე ანეტა [ანა მიხეილის ას.].

1220. სამძიმრის წერილი დედის გარდაცვალების გამო.

1928 წ. 27 აგვისტო. თბილისი, 1 ლია ბარათი.

№ 1711

დოლიძე ისიდორე.

1221. აცნობებს მოსკოვის იურიდიულ მეცნიერებათა ინსტი-  
ტუტის თხოვნას დაწეროს შრომა ქართული სამართლის ისტორიის  
შესახებ XVI—XVIII სს.

1940 წ. 21 სექტემბერი. მოსკოვი — თბილისი, 1 ფ.

№ 1712

დონდუა ვ. [ვარლამ დარისპანის ძე].

1222. ეხება ივ. ჯავახიშვილისათვის წიგნების შექმნის საკითხს  
(ძირითადად დასახელებულია).

1935 წ. 21 სექტემბერი — 1940 წ. 24 აპრილი. ლენინგრადი —  
თბილისი, 11 წერილი, 16 ფ.

№№ 1713—1715, 1720, 1729, 1731, 1735.

1747, 1755, 1758, 1760

1223. ეხება ალექსანდრე ნეველის ლავრაში ქართველ მოღვა-  
წეთა საფლავების მდგომარეობას.

1935 წ. 19 ოქტომბერი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ.

№ 1716

1224. აცნობებს ე. ე. ბერტელსის მისამართს.

1935 წ. 31 ოქტომბერი. ლენინგრადი — თბილისი, 1 ფ., 1 კონვ. № 1717

1225. ეხება წიგნების შეძენას (დასახელებულია); უგზავნის ნ. მარის ნეკროლოგს.

1936 წ. 19 იანვარი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ., 1 კონვ. № 1718

1226. აცნობებს ნ. მარისადმი მიძღვნილ კრებულში მონაწილეობის გვარებს; კვლავ წიგნების შეძენის შესახებ.

1936 წ. 2 მარტი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ. № 1719

1227. ეხება მისი წერილის შინაარსს.

[1936 წ. 21 მარტის შემდეგ]. ლენინგრადი — თბილისი, 1 ფ. № 1721

1228. აცნობებს ნ. მარისადმი მიძღვნილ კრებულში წერილების წარდგენის ვადას, ეხება თავის მუშაობას — „კალმასობის“ რუსულ თარგმანს და მის კომენტარებს.

1936 წ. 31 მარტი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ. № 1722

1229. ეხება საკავშირო აკადემიის წევრობის კანდიდატურების საკითხს.

1936 წ. 15 აპრილი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ., 1 კონვ. № 1723

1230. ეხება ივ. ჯავახიშვილის გამოსაქვეყნებელი შრომების მდგომარეობას; გამოთქვამს ბასილი ეზოსმოძღვარის თხზულების თარგმნის სურვილს.

pers. ბროსე, ბრაუნი, Dorn, ნ. მარი, მელიორანსკი, ი. ორბელი.  
1936 წ. 1 ივნისი. ლენინგრადი — თბილისი, 4 ფ., 1 კონვ. № 1724

1231. ეხება თამარის ისტორიკოსის თხზულების თარგმნის საკითხს.

[1936 წ.]. ლენინგრადი — თბილისი, 4 ფ. № 1725

1232. ეხება შ. რუსთაველის მუზეუმისათვის ქარტაკების შეძენის საკითხს.

1936 წ. 3 ოქტომბერი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ. № 1726

1233. ეხება „კალმასობის“ გამოცემის საკითხს, სთხოვს გაუფრთხილდეს თუ არა პროფ. ბენეშევიჩისათვის იუსტინიანეს კანონთა წიგნიდან ექსცერპტების თბილისში დაბეჭდვა.

1936 წ. 7 ოქტომბერი. ლენინგრადი — თბილისი, 3 ფ., 1 კონვ.  
№ 1727

1234. ეხება ბენეშევიჩის მიერ „სჯულის კანონის“ გამოცემას და თავის მონაწილეობას ამ სამუშაოში.

1936 წ. 27 ოქტომბერი. ლენინგრადი — თბილისი, 3 ფ., 1 კონვ.  
№ 1728

1235. ეხება ივ. ჯავახიშვილისათვის წიგნებისა და მუზეუმისათვის ბარათების შექმნის საკითხს.

1936 წ. 8 დეკემბერი — 1937 წ. 11 მაისი. ლენინგრადი — თბილისი, 2 წერილი, 6 ფ., 1 კონვ.  
№№ 1730, 1739

1236. ეხება ივ. ჯავახიშვილის თსუ მუშაობის საკითხს.

1937 წ. 29 იანვარი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ.  
№ 1732

1237. ეხება ა. ჰენკოს წერილს და გამოთქვამს თავის მოსაზრებას.

1937 წ. 4 თებერვალი. ლენინგრადი — თბილისი, 3 ფ.  
№ 1733

1238. ეხება შ. რუსთაველის მუზეუმისათვის მცხეთის ტაძრის კედლის მხატვრობის პირის დამზადების საკითხს.

1937 წ. 24 თებერვალი — 21 აპრილი. ლენინგრადი — თბილისი, 2 წერილი, 4 ფ.  
№№ 1734, 1737

1239. აცნობებს მისი საკავშირო მეცნ. აკად. ნ. წ. კანდიდატად წამოყენების შესახებ.

1937 წ. 12 მარტი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ.  
№ 1735

1240. აცნობებს მცხეთის ტაძრის კედლის მხატვრობის პირის გადაღების დაგვიანებას, აინტერესებს შ. რუსთაველის იუბილეს გადაღების ცნობის სიზუსტე.

pers. დ. თუმანიშვილი, მეშჩანინოვი, მიხ. შევარდნაძე.  
1937 წ. 30 მარტი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ.

№ 1736

1241. აცნობებს პროფ. ფრანკ კამენეცკის გარდაცვალებას.

1937 წ. 7 ივნისი. ლენინგრადი — თბილისი, 1 ფ. № 1740

1242. აცნობებს, რომ ვერ მიაგნო დავით აღმაშენებლის სურათს, ჰპირდება „მხენელის“ სურათის პირის დაკვეთას.

pers. ბენეშევიჩი, უსპენსკი.

1937 წ. 19 ივნისი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ.

№ 1741

1243. ეხება ე. წ. ბიზანტიურ-ქართულ ხელნაწერის აღწერილობის გაკეთებას და სურათების გადმოხატვას (ზოდიაქოს ნიშნები); აცნობებს რომ ბენეშევიჩისათვის მოულოდნელი იყო უსპენსკის ალბომის გაბნევის ამბავი.

1937 წ. 5 ივლისი. ლენინგრადი — თბილისი, 6 ფ. № 1742

1244. ეხება მინიატურებიდან პირების გადაღების მიმდინარეობას, ბენეშევიჩისა და მისი ბიბლიოთეკის მდგომარეობას, თამარის ისტორიის თარგმანის დასრულებას და რედაქტორისათვის გადაცემას.

1937 წ. 15 აგვისტო. ლენინგრადი — თბილისი, 5 ფ.

თან ახლავს 2 ბარათი ივ. ჭავჭავაძის ხელით ჩანიშნული წიგნების სახელწოდებით.

№ 1743

1245. ეხება შ. რუსთაველის გამოფენისათვის მინიატურების პირების დამზადებისა და საკატალოგო ბარათების და წიგნების გაგზავნის საკითხს.

1937 წ. 16 სექტემბერი. ლენინგრადი — თბილისი, 2 წერილი, 5 ფ.

აქვს მინაწერი. მეორე წერილი გადმოსცა გურამ დონდუამ ვ. დონდუას გარდაცვალების შემდეგ.

№№ 1744, 1745

1246. ეხება მინიატურების პირების გადმოღების დასრულებას, შ. რუსთაველის მუზეუმისათვის საკატალოგო ბარათების შექმნას და დავით აღმაშენებლის სურათის ძებნის მიმდინარეობას.

1937 წ. 2 ნოემბერი. ლენინგრადი — თბილისი, 4 ფ.

№ 1746

1247. აცნობებს ბაქოში გამგზავრებას მოხსენების წასაკითხად; სწუხს, რომ პირადად ვერ ინახულა.

1937 წ. 20 დეკემბერი. თბილისი, 1 ფ.

№ 1748

1248. მადლობას უთვლის ნაჩუქარ შრომებისათვის, სწუხს რომ ვერ დაემშვიდობა გამგზავრების წინ.

1938 წ. 12 იანვარი. თბილისში, 1 ფ.

№ 1749

1249. ეხება თამარის ისტორიის თარგმანის და ბეჭდვის საკითხს და ტაშკენტში განზრახულ შ. რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ

დეკადას. მადლობას უთვლის ერმიტაჟის დახმარებისათვის საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით.

1938 წ. 2 თებერვალი. ლენინგრადი — თბილისი, 3 ფ., 1 კონვ.  
№ 1750

1250. აცნობებს, რომ მასა და კარბეზ დონდუას შესთავაზეს მონაწილეობა მიიღონ ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში.

1938 წ. 24 თებერვალი. ლენინგრადი — თბილისი, 3 ფ.  
№ 1751

1251. ეხება თამარის ისტორიის თარგმანის მოსკოვში დაბეჭდვის განზრახვას; სთხოვს გაუგზავნოს ამონაბეჭდი „ილ. ქავეცაძე და საქართველოს ისტორია“ და ბასილი ეზოსმოძღვარის თხზულების კორექტურის ფურცლები.

1938 წ. 23 აპრილი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ.  
№ 1752

1252. ეხება თავის მონაწილეობას საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენაში და მუშაობის პირობებს.

1938 წ. 15 აგვისტო. ლენინგრადი — თბილისი, 3 ფ., 1 კონვ.  
№ 1753

1253. სწუხს დროის სიმცირეს სსრკ ისტორიის I ტომისათვის დაკისრებული მონაკვეთის სასწრაფოდ დამუშავებასთან დაკავშირებით; კვლავ წიგნების შეძენის შესახებ.

1938 წ. 2 სექტემბერი. ლენინგრადი — თბილისი, 2 ფ., 1 კონვ.  
№ 1754

1254. ტელეგრამა „მხვნელი“-ს სურათის პირის გაცემების შესახებ.


[1938 წ. ლენინგრადი — თბილისი], ტელეგრამის ბლანკზე, მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 ც.  
№ 1756

1255. ულოცავს საკავშირო მეცნ. აკადემიის აკადემიკოსად არჩევას; კვლავ წიგნების შეძენის შესახებ.

1939 წ. 7 თებერვალი. ლენინგრადი — თბილისი, 3 ფ., 1 კონვ.  
№ 1757

1256. ეხება უკრაინის საისტორიო ქრესტომათიისათვის ქართული წყაროების თარგმნასა და ქართული საისტორიო ძეგლების გამოცემაში მონაწილეობის მიღებას; აცნობს თავის მოსაზრებებს ამ საკითხზე.

1939 წ. 21 ივლისი. ალკინო (ბაშკირეთი) — თბილისი, 3 ფ., 1 კონვ.  
№ 1759



1257. ეხება სსრკ ისტორიის მრავალტომეულისათვის მასალის დამზადების საკითხს, მონაწილეობას ამ საქმეში, უზიარებს თავის მოსაზრებებს, სთხოვს კონსულტაციას.

1940 წ. 22 აგვისტო. ლენინგრადი — თბილისი, 4 ფ. 1 კონვ.  
№ 1761

1258. ტელეგრამები ვასილევსკის და სერგეევჩინის წიგნების გაგზავნის შესახებ.

[1940 წ. ლენინგრადი — თბილისი], ტელეგრამის ბლანკზე, მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 2 ცალი. №№ 1762—1763

დონდუა კ. [კარბეზ დარისპანის ძე].

1259. მადლობას უთვლის წიგნებისათვის (დასახელებულია).

1938 წ. 24 მაისი. ლენინგრადი — თბილისი, 1 ფ.

№ 1764

1260. ეხება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულ ჭარბველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მიერ შედგენილ საბიბლიოთეკაფიო მასალებს.

pers. ვარლამ დონდუა, ი. ყიფშიძე.

1939 წ. 24 თებერვალი. ლენინგრადი — თბილისი, 1 ფ.

№ 1765

ემუხვარი ვლადიმერ.

1261. ეხება თავის მუშაობას და მომავალ გეგმებს. აცნობებს რომ მუშაობის ანგარიში გაუგზავნა ე. თაყაიშვილს.

pers. პროფ. შანცი.

1922 წ. 18 მარტი. კლაინენსდორფი (Kleinensdorf) საქსონია (Saxen) — თბილისი, 2 ფ.

№ 1766

1262. ეხება გერმანიაში არსებულ ეკონომიურ კრიზისს და თავის მიმე მატერიალურ მდგომარეობას; სთხოვს დახმარებას.

pers. ტენი.

1924 წ. 21 მარტი. სტოლპენ (Stolpen)<sup>18</sup> — თბილისი, 4 ფ.

№ 1767

1263. ეხება უნივერსიტეტის ცნობას მისი უნივერსიტეტთან დატოვებულთა სიიდან ამორიცხვის შესახებ.

1925 წ. 10 ივნისი. პრაღა (Praha) — თბილისი, 1 ფ.

№ 1768

<sup>18</sup> დრეზდენის მახლობლად.

ენიმკის დირექცია და თანამშრომლები.

1264. ტელეგრამა თსუ დაარსების ოცი წლისთავის მილოცვით.  
[1938 წ.] 30 მაისი, თბილისი, ბლანკზე, 1 ც. № 1769

ერდმანი ბ. (Erdmann B.).

1265. აცნობებს, რომ დოქტ. კ. გამსახურდია 1915 წ. მუშაობდა მის სემინარში და ისმენდა ლექციებს ფილოსოფიაში.

1920 წ. 1 აგვისტო. ბერლინი — თბილისი, გერმანულ ენაზე, 1 ფ. № 1770

ერისთავი გიორგი.

1266. ეხება შ. რუსთაველის მუზეუმისათვის ფრესკების პირების გადმოღებას წალენჯიხაში და ბედიასში. აცნობებს ოწინდალის კედლის მხატვრობისა და ძეგლის საავარიო მდგომარეობის შესახებ.

[1937 წ.] 18 სექტემბერი. წალენჯიხა — თბილისი, 1 ფ.

№ 1771

ერმაკოვი დიმიტრი ივანეს ძე. (Ермаков Дмитрий Иванович).

1267. სთხოვს აცნობოს ხომ არავენ იქნება მსურველი რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოებიდან, სვანეთისა და ფშავ-ხევსურეთში ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად.

pers. პ. თუმანიშვილი.

1908 წ. 20 ნოემბერი. თბილისი — სპბ, პირად ბლანკზე. რუსულ ენაზე, 1 ფ.

№ 1772

ერნშტედტი პ. (Ернштедт Петр).

1268. ეხება გრიგოლ წერეთლისადმი მიძღვნილი კრებულის გამოცემას.

pers. ებელიოვი, Толстых. ს. ყაუხჩიშვილი.

1927 წ. 16 აპრილი — 7 ივნისი. ლენინგრადი — თბილისი, რუსულ ენაზე, 3 წერილი, 3 ფ.

№№ 1773—1775

ვარაზაშვილი ი. ს.

1269. ეხება მის მიერ გერმანიიდან ჩამოტანილ ნივთების ჩაბარებისა და მისი საფასურის გადახდის საკითხს.

1923 წ. 3 თებერვალი. თბილისი, 1 ფ.

№ 1776

ვასილიევა ა. (Васильева А.).

1270. ღია-ბარათი, კერძო ხასიათისა.

1903 წ. 22(9) თებერვალი. გიტინგენი (Göttingen) — სპბ, რუსულ ენაზე (სურათით), 1 ც.

№ 1777

[ვახვახიშვილი] თამარ [ნიკოლოზის ას.].

1271. მოკითხვის ღია ბარათი.

1905 წ. 12 იანვარი. თბილისი — სპბ, რუსულ და ქართულ ენებზე,  
1 ტ. № 1778

[ვახვახიშვილი ნიკოლოზ ათანასეს ძე]. (Вахвахов Н.).

1272. კერძო ხასიათის.

1903 წ. 4 თებერვალი — 1905 წ. 18 აპრილი. თბილისი — სპბ,  
რუსულ ენაზე, 3 წერილი, 7 ფ. №№ 1779—1781

ვახვახიშვილი სოფიო<sup>19</sup> [ვახვახოვისა].

1273. კერძო ხასიათის.

[1898—1900 წ.] — 1905 წწ. [თელავი] — სპბ, 5 წერილი, 10 ფ.  
№№ 1782—1786

ვეზენდონკი<sup>20</sup> (Wesendonk).

1274. სთხოვს მიუთითოს ცნობები საქართველოში მანიქეველ-  
თა და პავლიკიანების სექტების არსებობაზე.

pers. Baumstark.

1925 წ. 1 აპრილი. თბილისი, გერმანულ ენაზე, 1 ბარათი.

№ 1787

ვეკუა ვლადიმერ მოსეს ძე (Векуа Владимир Моисеевич).

1275. სთხოვს დახმარებას თემის არჩევაში.

1908 წ. 28 ნოემბერი — [1908 წ.]. ხარკოვი — სპბ, რუსულ ენა-  
ზე, 2 წერილი, 3 ფ. №№ 1788—1789

1276. ეხება თავის მუშაობას მოსკოვის არქივში და აცნობებს  
მისთვის საინტერესო საბუთის ადგილ-სამყოფელს.

pers. მოურავოვი, აღ. ცაგარელი, აღ. ხახანაშვილი.

1909 წ. 2 აპრილი. ხარკოვი — სპბ, 2 ფ.

№ 1790

„Византийский Временник“-ის რედაქცია.

1277. ეხება ივ. ჯავახიშვილის ბიბლიოგრაფიის შედგენაში მო-  
ნაწილეობის საკითხს, აცნობებს თანხმობას მისი წერილის — „Ис-  
тория раздела грузинской и арм. церквей“ დაბეჭდვაზე.

pers. ნ. მარი.

1903 წ. 12 დეკემბერი — 1905 წ. 30 აპრილი. სპბ, ბლანკზე, რუ-  
სულ ენაზე, ხელმოწერა გაურჩეველია, 4 წერილი, 4 ფ.

№№ 1791—1794

<sup>19</sup> ედიშერ ჩერქეზიშვილის ასული, ივ. ჯავახიშვილის ბებია — დედის დე-  
დინაშვილი, ცნობილი საზღვო მკურნალი.

<sup>20</sup> გერმანიის კონსული თბილისში.

ვირსალაძე ბაგრატ [სიმონის ძე].

1278. აცნობებს სპდ დაბრუნების სურვილს გამოცდების ჩასატარებლად და სთხოვს დახმარებას.

pers. სპირიდონ ვირსალაძე, ნ. მარი.

1903 წ. 6 მაისი. ქ. გუმბრი — სპდ, 2 ფ.

№ 1795

1279. სთხოვს დაეხმაროს სამსახურის შოვნაში.

pers. ნ. მარი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე პოკროვსკი.

1910 წ. 23 ოქტომბერი. ალექსანდროპოლი — სპდ, 2 ფ.

№ 1798

1280. ეხება თავის „მიმოხილვას“ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების შესახებ. სთხოვს დახმარებას ადგილის შოვნაში.

pers. ნ. მარი, ნ. ნიკოლაძე.

1911 წ. 15 იანვარი. [ერევანი] — სპდ, 2 ფ.

№ 1797

1281. ეხება კვლავ თავის სამსახურის საქმეს. სთხოვს დაუზუსტოს ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხი.

[1913 წ.] 23 სექტემბერი. ერევანი — სპდ, 1 ფ.

№ 1798

1282. აცნობებს სახაზინო პალატის მმართველის თვითნებურ მოქმედებას და კვლავ სთხოვს დახმარებას სამსახურის შოვნაში. ეხება ოსმალეთის შემოსევასა და სპარსეთში ქურთებთან ბრძოლებს.

pers. ივანე ნაკაშიძე.

[1913 წ.] 10 ოქტომბერი. ერევანი — სპდ, 2 ფ.

№ 1799

1283. აღწერს მოხელეთა მიმე მდგომარეობას და სთხოვს დახმარებას სამსახურში მოსაწყობად.

[1913 წ. ერევანი] — სპდ, 3 ფ.

№ 1800

ვირსალაძე სპ. [სპირიდონ სიმონის ძე]. Virsaladze C.

1284. ეხება თავის თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის კონსულტანტად დანიშვნას.

1914 წ. 10 აგვისტო. თბილისი — სპდ, რუსულ ენაზე, 2 ფ.

№ 1801

1285. ეხება ბერლინისა და ჰამბურგის სამეცნიერო ცხოვრებით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

1924 წ. 29 დეკემბერი. ჰამბურგი — თბილისი, 2 ფ.

№ 1802

ზ ა ი ც ე გ <sup>ა21</sup>.

1286. აცნობებს საბჭოთა ხალხთა ისტორიის მრავალტომეულ სათავის დაწერილი სტატიის საკითხებს.

1938 წ. 29 ივლისი — 12 აგვისტო. მოსკოვი — თბილისი, ბლანკ-ზე, №8/29, რუსულ ენაზე, 2 წერილი, 2 ფ., 2 კონე.

№№ 1803—1804

ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი მ. [მიხეილ ზურაბის ძე].

1287. უგზავნის თავის ნაშრომს ყაზბეგის შესახებ.

1923 წ. 17 დეკემბერი. თბილისში, 1 ფ.

№ 1805

ზ ა რ ა ფ ი შ ვ ი ლ ი ილია.

1288. აწვდის ცნობებს საქართველოში არსებული ხალხური დღეობების შესახებ.

[1917 წლამდე]. 7 ფ.

№ 1806

ზ ე დ გ ე ნ ი ძ ე გიორგი ვლადიმირის ძე.

1289. ეხება საქართველოში ეკონომიური ისტორიისათვის საჭირო მასალების გაგზავნას და სოფ. კაქიოში დაცულ ხელნაწერ წიგნებს.

1939 წ. 12 სექტემბერი. ბორჯომი — თბილისი, 2 ფ.

№ 1807

1290. სთხოვს გაუგზავნოს „ქართველი ერის ისტორია“.

1940 წ. 3 ივნისი. ბორჯომი — თბილისი, 1 ფ.

№ 1808

1291. აცნობებს სოფ. ბალანთაში (ბორჯომის რ-ნი) არქეოლოგიურ აღმოჩენების ხშირ შემთხვევებს. სთხოვს მიაქციონ ყურადღება.

1940 წ. 15 ივლისი. ს. ბალანთა — თბილისი, 2 ფ., 1 კონე.

№ 1809

ზ ო მ ე რ ფ ე ლ ტ ი ალფ. (Sommerfelt Alf.) .

1292. სთხოვს დახმაროს ლიტერატურის შოვნაში კავკასიური ენათმეცნიერების საკითხებზე.

1924 წ. 3 ივლისი. ქრისტინია — თბილისი, ფრანგულ ენაზე, 1 ლია ბ.

№ 1810

ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ილია. [ილია].

1293. ეხება საზღვარგარეთის კრებულისათვის შრომების დამზადების საკითხს.

<sup>21</sup> სსრკ მეცნ. აკადემიის ისტორიის სექტორის მდივანი.

pers. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.  
1920 წ. 28 აგვისტო. [თბილისი], 2 ფ.

№ 1811

თავართქილაძე სილიბისტრო.

1294. ეხება „ქართველი ერის ისტორიის“ გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

pers. გ. ახვლედიანი, იმედაშვილი, ჭ. ლომთათიძე.  
1927 წ. 20 მარტი — 1929 წ. 17 დეკემბერი. თბილისი, 4 წერილი,  
7 ფ. №№ 1812—1815

თამაშვეი ივ. (Тамашев Ив.).

1295. სთხოვს მიიღოს მონაწილეობა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული თბილისის სათვისტომოს მმართველობის მიერ განზრახული კრებულის გამოცემაში. აცნობს კრებულის მიზანს.

pers. ვესელოვსკი, ნ. მარი, პროფ. მილერი, [აღ.] ხახანაშვილი.  
1908 წ., 4 დეკემბერი. მოსკოვი — სპბ, შტამპიანი, რუსულ ენაზე,  
2 ფ. № 1816

ეურნალ „თანამედროვე ფარმაცია“ რედაქცია.

1296. უძღვნის ეურნალის მთელ კომპლექტს.

1931 წ. 3 ივლისი. ი. ქუთათელაძის, ქუმბურძისა და ნ. მასხულის ხელმოწერით, 1 ფ. № 1817

თარხნიშვილი მარო [მარიამ].

1297. კერძო ხასიათის.

1938. 2 აგვისტო. თბილისი, 1 ფ., 1 კონე. № 1818

თაყაიშვილი ე. [ექვთიმე სიმონის ძე].

1298. ეხება მასალის დამუშავების საკითხს კავკასიაში და საქართველოში განათლების მდგომარეობას.

pers. ლასხიშვილი გიორგი.  
1900 წ. 12 მაისი. თბილისი — სპბ, 1 ფ. № 1819

1299. ეხება ქსნის ხეობის აღწერილობისა და „საქართველოს სიძველენი“-ს მეორე წიგნის ბეჭდვის საკითხს; აცნობებს „ხელმწიფის კარის გარიგების“ პოვნის შესახებ; სთხოვს სტატიას წ. კ. გ. საზოგადოების პირველი კრებულისათვის.

[1908 წ. 4 ნოემბერი]. თბილისი — სპბ, 1 ფ. № 1820

1300. ეხება თავის ნაშრომების გამოცემის საკითხს („კარის გარიგება“, „საქ. სიძველენი“), სთხოვს სტატიას კრებულისათვის.

1908 წ. 23 ნოემბერი. თბილისი — სპბ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის ბლანკზე, 2 ფ. № 1821

1301. აცნობებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობის მდგომარეობას, სთხოვს საქართველოში დაბრუნებას და საზოგადოების ხელმძღვანელობას.

1913 წ. 17 ნოემბერი. თბილისი — სპ, ბლანკზე, 1 ფ.

№ 1822

თსუ-ს ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

1302. კეთილი სურვილებით მისი რექტორობიდან განთავისუფლებისა და საჩუქრის მირთმევასთან დაკავშირებით.

pers. მ. აგლაძე, ნ. ამბოჯაძე, ქ. ავალიშვილი, ვ. ბაქრაძე, ელ. ბაქრაძე, ნ. დიასამიძე, ე. თიქანაძე, ტ. კასრაძე, ვ. მაჭავარიანი, ი. მრეელიშვილი, თ. ნაკაშიძე, ტ. ციციშვილი, გ. ციციშვილი, ვ. ცომაია, გრ. წერეთელი, ს. წერეთელი, ზ. ხიმშიაშვილი — ხელისმომწერები.

[1926 წ. 3 ივლისი]. თბილისი, 1 ფ.

№ 1823

თევდორაძე გიორგი.

1303. ეხება თავის შრომას („ფშავ-ხევსურეთის ყოფაცხოვრება“), მისი გამოცემის ნაკლოვან მხარეებს და ხევსურული თქმულების „ხოგაის მინდიას“ დაბეჭდვის სურვილს.

pers. კ. გამსახურდია.

1940 წ. 12 თებერვალი. თბილისი, 1 ფ.

№ 1824

თვალჭრელიძე ა. [ალექსანდრე ანტონის ძე]. (Твалчтрелидзе А.).

1304. კერძო ხასიათის.

1923 წ. 18 აპრილი — 27 ნოემბერი. ციხის-ძირი — თბილისი, რუსულ ენაზე, 2 წერილი, 4 ფ.

№№ 1825—1826

თვალჭრელიძე ანტონ.

1305. კერძო ხასიათის.

1922 წ. 14 მარტი — [1930 წ. 22 მაისი]. ციხის-ძირი — თბილისი, 15 წერილი, 24 ფ., 4 კონვ.

№№ 1827—1841

თოფური ავ. [ვარლამ].

1306. სთხოვს ათხოვოს დიუმეზილის ნაშრომი გიორგი როგავას.

pers. პ. უშიკაშვილი, აკ. შანიძე.

1938 წ. 21 თებერვალი. თბილისი, 2 ფ.

წერილი გამოყენებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ მატერიალური კულტურის საკითხებისა და ლიტერატურის ჩასაწერად, ვახუშტის ორად.

№ 1842



თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ევ. [ივანე].

1307. ეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიღებას და უზიარებს შეხედულებას საქართველოში უმადლესი და საერთო საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებაზე.

pers. ზურაბიშვილი, მაჩაბელი, ა. რაზმაძე, მ. წერეთელი.  
1917 წ. 4 ოქტომბერი. მოსკოვი — თბილისი, 4 ფ.

№ 1843

1308. ეხება მოსკოვში მცხოვრები ქართველების სურვილს თბილისში გადმოსვლის შესახებ და ქართულ უნივერსიტეტში მათი მოღვაწეობის საკითხს.

pers. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე გურგენიძე, მესხელიშვილი, ორახელაშვილი, ალექსანდრე ჯორჯაძე.  
1921 წ. 27 მაისი. მოსკოვი — თბილისი, 2 ფ.

№ 1844

თ უ მ ა ნ ი ა ნ ი ნ ვარდ ოვანესის ასული.

1309. სთხოვს დახმარებას აღებული თემის დამუშავებაში.

1922 წ. 8 სექტემბერი. რუსულ ენაზე, 1 ფ.

№ 1845

თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ბ.

1310. სთხოვს გაუზიაროს თავისი მოსაზრებები ქართულ გიმნაზიაში ქართული ენისა და ისტორიის სწავლების შესახებ.

1906 წ. 4 დეკემბერი. თბილისი — სპბ, ბლანკზე № 153, 1 ფ.

№ 1846

1311. ეხება სკოლებში ქართულ ენაზე სწავლის შემოღების საკითხს და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს სახელმძღვანელოების გამოცემის საჭიროებას. უგზავნის ქართულ ენაზე შედგენილ რუკას და სთხოვს შესწორებების შეტანას.

pers. ნ. მარი.  
უთარილო. გამომცემლობა „ციცკრის“ ბლანკზე, 1 ფ.

№ 1847

1312. ეხება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გაზეთის გამოცემის საკითხს დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ და სთხოვს მიიღოს მონაწილეობა.

pers. ნ. მარი.  
უთარილო. გაზეთ Закавказская Речь -ის ბლანკზე, 1 ფ.

№ 1848.

თ უ რ ქ ი ა ლ აუ.

1313. კერძო ხასიათისა.

1937 წ. 30 თებერვალი. 1 ფ., 1 კონვ.

№ 1849

ი ა შ ვ ი ლ ი დ.

1314. ეხება თავის სამეცნიერო მუშაობას ფიზიოლოგიაში და თხოულობს უნივერსიტეტიდან დოტაციას.

pers. [ივანე] ბერიტაშვილი, პროფ. ატცლერი.  
1926 წ. 4 მაისი. ბერლინი — თბილისი, 1 ფ. № 1850

ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი იოსებ.

1315. კერძო ხასიათისა.

pers. გაიოზ [იმედაშვილი].  
1927 წ. 24 აგვისტო. თბილისი, ბლანკზე, 1 ფ. № 1851

ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პავლე.

1316. ეხება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის [სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში]? ბეჭდვის მიმდინარეობას.

pers. სეიმონ ყაუხჩიშვილი.  
[1929—30 წ.] 2 სექტემბერი თბილისი, 2 ფ. № 1852

ი ნ ო ს ტ რ ა ნ ც ე ვ ი კ. [კონსტანტინე]. (Иностранцев К.).

1317. ეხება შუა საუკუნეების აღმოსავლეთის საყოფაცხოვრებო ისტორიის ნარკვევების დაწერის განზრახვას.

pers. ნ. მარი, ჰარნაკი, Horn.  
1901 წ. 25 დეკემბერი. სპბ — ბერლინი, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1853

1318. ეხება თავის მუშაობას მუზეუმში, წერილების დაბეჭდვისა და სინაზე გამგზავრების საკითხებს.

pers. ვასილიევი, ნ. მარი.  
1902 წ. 26 იანვარი. სპბ — ბერლინი, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1854

1319. ტერმინ „арка“-ს შესახებ.

pers. ალექსეევი, გოლიცინი, Castell, ნ. მარი, მაქსიმოვიჩი, Nöldke, Horn.  
1904 წ. 30 ნოემბერი. სპბ, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1855

1320. ეხება ივანე [ნიქარაძის] სვანური კოლექციის აღწერის საკითხს.

1904 წ. 7 დეკემბერი. სპბ, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1856

1321. სთხოვს მიაწოდოს რაიმე ცნობა ვინმე დუმბაძის შესახებ, რომელსაც სურს იმუშაოს დასავლეთ საქართველოში.

1905 წ. 17 თებერვალი. სპბ, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1857

კ. ნ-ძე (კ. ნ-ძე).

1322. კერძო ხასიათისა.

1938 წ. 5 მაისი. თბილისი, რუსულ ენაზე, 1 ლაა ბარათი. გამგზავ-  
ნის მისამართით „Н. Топуридзе“.

№ 1858.

კ ა ი შ ა უ რ ი გ .

1323. ეხება სარეწაო მუზეუმის შექმნის საკითხს.

pers. [არტემ] გაბუნია.

1939 წ. 28 აგვისტო. თბილისი, შტამპიან ქალაქზე, 1 ფ.

№ 1859

კ ა კ ა ბ ა ძ ე დ ა ვ ი თ .

1324. სთხოვს ათხოვოს გ. ლეონიძეს საბას პორტრეტი და აც-  
ნობოს მას „ქილილა და დამანა“-ს ხელნაწერის თარიღი.

1928 წ. 9 ივლისი. თბილისი, 1 ფ.

№ 1860

აქვს ივ. ჯავახიშვილის მინაწერი.

კ ა კ ა ბ ა ძ ე ვ ე რ ა .

1325. ეხება სპირიდონ [კედიას] განთავისუფლებას და ივ. ჯა-  
ვახიშვილის მონაწილეობას ამ საქმეში.

pers. გიორგი ზდანოვიჩი, ნაკაშიძე.

[1914 წ.]. 1 ფ.

№ 1861

კ ა კ ა ბ ა ძ ე [სარგის].

1326. სთხოვს გამოარკვეოს მისი უნივერსიტეტში მუშაობის  
საკითხი.

pers. იუსტინე აბულაძე.

1922 წ. 3 ივლისი. თბილისი, 2 ფ.

№ 1862

1327. ეხება თავის უნივერსიტეტში მუშაობის საკითხს.

1922 წ. 25 სექტემბერი. თბილისი, 2 ფ.

№ 1863

1328. ეხება სიძველეთა დაცვის მდგომარეობას; უსაყვედუ-  
რებს ივ. ჯავახიშვილს და ა. შანიძეს სიძველეთა დაღუპვაში.

pers. [ვუკოლ] ბერიძე, ს. გორგაძე, დ. კანდელაკი, დ. კარიჭაშვილი,  
ნ. შარი.

1924 წ. 7 მაისი. თბილისი, 2 ფ.

თან ახლავს ტელეგრამა კონვენტში ჩადებული, ამავე შინაარსის.

№ 1864

1329. ეხება კვლავ სიძველეთა დაცვის საკითხს, სთხოვს მიაქ-  
ციოს ყურადღება.

pers. გ. ახვლედიანი, [ვუკოლ] ბერიძე.

1924 წ. 20 ივნისი. თბილისი, 2 ფ.

№ 1865

1330. სთხოვს დაუბრუნოს მის მიერ გადაღებული სიგელების ფოტოპირები და ეხება მათი გამოცემის პრიორიტეტის საკითხს.

1925 წ. 7 აპრილი. თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. № 1866

1331. ეხება სიგელების ფოტოპირებით სარგებლობისა და გამოცემის საკითხს.

1925 წ. 9 აპრილი. თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. № 1867

1332. სცნობს თავის მოქმედების უსამართლობას, ხსნის მას თავის სულიერი განწყობილებით და ბოდიშს იხდის.

pers. დავით კაკაბაძე.  
1927 წ. 31 ოქტომბერი. თბილისი, 2 ფ. № 1868

1333. ეხება ვრცლად თავის მუშაობას და მოითხოვს ეხლა მანც მიეცეს რაიმე შესაძლებლობა სამეცნიერო მუშაობის მხრივ.

pers. გ. ახვლედიანი, ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, ე. თაყაიშვილი, დ. კარიჭაშვილი, თ. ლომაური, ლ. მუსხელიშვილი, კ. ორაგველიძე, შ. ორახელაშვილი, იოს. ყიფშიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ალ. წერეთელი, გ. ჯავახიშვილი.  
1937 წ. 1 ივლისი. თბილისი, 11 ფ. № 1869

კ ა ლ ა ნ დ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს.

1334. სთხოვს დაეხმაროს ქართველ ახალგაზრდას (უცნობია) სპს სწავლის გაგრძელებაში.

1903 წ. 4 ივლისი. [თბილისი] — სპს, 1 ფ. № 1870

კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ლ.

1335. ეხება თავის მატერიალურ მდგომარეობას გერმანიაში და ითხოვს დახმარებას.

pers. ნ. ოსელიანი,  
1925 წ. 10 ნოემბერი. მიუნხენი — თბილისი, 1 ფ., 1 კონე. № 1871

კ ა ლ ა ტ ო ზ ი შ ვ ი ლ ი დიონოსი.

1336. სთხოვს აცნობოს წარწერის შინაარსი (პირი გადმოღებულა V-ზე).

1924 წ. 23 დეკემბერი. თბილისი, 1 ფ.  
მარტენა კუთხეში აქვს ივ. ჯავახიშვილის მინაწერა — ქორონიკონის გახსნა. № 1872

1337. ეხება უნივერსიტეტის მიერ მისი წიგნების შეძენის საკითხს და ლორეში ნაპოვნ ეპიგრაფიკულ მასალას.

1925 წ. 12 მაისი. თბილისი, 2 ფ. № 1873

14. ჯავახიშვილის არქივი

კამფმაიერი გ. (Kampffmayer G.).

1338. ეხება ბერლინის აღმ. ენათა სემინარის გამომცემლობისათვის დაპირებულ წერილს თემაზე „რუსული შრომები სომხურსა და ქართულის შესახებ“.

pers. როზენი (ბარონ).

1908 წ. 28 იანვარი. ბერლინი — სპბ, 2 ფ.

№ 1874

კანდელაკი დ. [დავით]<sup>22</sup>.

1339. პასუხი ივ. ჯავახიშვილის განცხადებაზე რექტორობიდან გადადგომის სურვილის შესახებ.

1923 წ. 28 მარტი. თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, 2 ფ.

№ 1875

კარახანი რ. (Карахан Р.).

1340. ეხება უცხოური ლიტერატურის გამოწერას.

1936 წ. 26 იანვარი — 1937 წ. 11 ნოემბერი. მოსკოვი — [თბილისი], მანქანაზე ნაბეჭდი, ბლანკზე, რუსულ ენაზე, 2 წერილი, 2 ფ, 1 კონგ.

№№ 1876—1877

კარბელაშვილი პ.

1341. ეხება თავის მუშაობას და სთხოვს დახმარებას პენსიის დანიშვნის საქმეში.

1922 წ. 1 დეკემბერი. თბილისი, 2 ფ.

№ 1878

კარიჭაშვილი დ. [დავით].

1342. აწვდის ცნობებს თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიიდან ქართული სამართლის ისტორიის საკითხებზე.

1905 წ. 18 მაისი. თბილისი — სპბ, 1 ფ.

№ 1879

1343. პასუხი ივ. ჯავახიშვილის წერილზე მისი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობიდან გადადგომის შესახებ.

1927 წ. 21 ივნისი. თბილისი, ს. ჯანაშიას ხელით ნაწერი, საზოგადოების ოფიციალურ ბლანკზე, დ. კარიჭაშვილის ხელმოწერით, 2 ფ.

№ 1880

კარსტი ე. პროფ. (Karst J. prof.).

1344. სთხოვს დაეხმაროს მისთვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის შოვნაში (დასახელებულია).

<sup>22</sup> საქ. სსრ განათლების კომისარი.

1926 წ. 1 თებერვალი — 1938 წ. 24 იანვარი. სტრასბურგი — თბილისი, ფრანგულ ენაზე, 2 წერილი, 3 ფ. 1 კონვ., 1 სადარბაზო ბარათი. №№ 1881—1882

კ ა შ მ ა ძ ე შ ა ლ ვ ა .

1345. სთხოვს განუმარტოს ორი შეკითხვა. 1. კარტოფილის შემოტანის საკითხი საქართველოში გამბას ცნობასთან დაკავშირებით და 2. ქართველების რუსებთან ურთიერთობის საკითხი ლ. ტოლსტოისთან.

pers. ივანე გომართელი, სანდრო დიასამიძე.

1940 წ. 4 სექტემბერი. თბილისი, 1 ფ.

№ 1883

კ ე დ ი ა ს. [სპირიდონ].

1346. სთხოვს გაარკვიოს საკითხი მისი განთავისუფლების შესახებ.

pers. ივანე ნაკაშიძე, პეტრე ქავთარაძე.

[1914 წ.] 2 მაისი. სპბ, 2 ფ.

№ 1884

კ ე კ ე ლ ი ძ ე კ. [კორნელი].

1347. ეხება ა/კ უნივერსიტეტის დაარსებისა და ამასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

pers. ალ. ალადაშვილი, ს. ამირჯიბი, ალ. დიდებუმიძე. კალაშნიკოვი, ნ. კახიანი, მ. პოლიევქტოვი.

[1920 წ.] 10 სექტემბერი. თბილისი, 2 ფ.

№ 1885

1348. ეხება უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის მუშაობას და ეკონომიურ-სამეურნეო მდგომარეობას.

pers. [მიხეილ] ასათიანი, გ. ახვლედიანი, [რობერტ] ბლეიკი, დონარ-ზაპოლსკი, ვაგნერი, ვალტერი, ნ. მუსხელიშვილი, [მიხეილ] პოლიევქტოვი, დამბარაშვილი, აკაკი [შანიძე], ნოე ცინცაძე, მიხაკო წერეთელი.

1920 წ. 16 სექტემბერი. თბილისი, 2 ფ.

№ 1886

კ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი მ. [მიხეილ].

1349. სთხოვს გაუწიოს კონსულტაცია მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დადგმასთან დაკავშირებით ტანსაცმელისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ.

[1939 წ.]. მოსკოვი — თბილისი, 2 ფ.

№ 1887

კ ვ ი ტ ა შ ვ ი ლ ი გიორგი.

1350. ულოცავს აკადემიკოსად არჩევას.

1939 წ. 23 იანვარი. თბილისი, 2 ფ.

№ 1888



კიკნაველიძე ყარამან სიმონის ძე.

1351. ქართული უნივერსიტეტის დასაარსებელი თანხის გასაძლიერებლად სწირავს 1000 მანეთს.

1917 წ. 8 ოქტომბერი. ორცსა (თბ.), ფ. 471, აღწ. 1, საქ. 27, ფ. 28. დაბეჭდილია საისტ. მბე, № 19.

კილაძე მარო.

1352. კერძო ხასიათის.

[1933 წ.]. თბილისი, 1 ფ., 1 კონვ. № 1889

კირიუხინი ექვთიმე დიმიტრის ძე (Кирюхин Ефимий Дмитриевич).

1353. სთხოვს განმარტებას აფრიკაში ნანახი მრავალი შენობისა და იქ მყოფ ხალხის შესახებ.

1939 წ. 16 ივლისი. ქ. Новый Ургенч (ხორეზმის ოლქი) — თბილისი, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1890

კოვზიაშვილი ივანე ალექსის ძე.

1354. უგზავნის რაღაც ნაყოფს და სთხოვს განმარტებას მის რაობაზე.

1937 წ. 31 აგვისტო. ლაგოდეხი — თბილისი, 1 ფ. № 1891

კოკოვცოვი პ. (Кокцов П.).

1355. ეხება „სოფიო ახამონტ“-თან დაკავშირებით მიცემულ მითითებების დაზუსტებას.

pers. ბესე, გ. კრივერი, ვლ. სოლოვიოვი. 1913 წ. 22 აპრილი. სპბ, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1892

1356. ეხება ბიბლიურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით ცნობების მიწოდების საკითხს.

1914 წ. 17 აპრილი. სპბ, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 1893

კონიაშვილი ი. [ივანე].

1357. კერძო ხასიათისა.

1927 წ. 22 სექტემბერი. თბილისი — ციხის-ძირი, 2 ფ. № 1894

კორნფელდი ი. ა. (Корнфельд Я. А.).

1358. მადლობას უთვლის მ. ი. ილინასათვის გაწეული სამეცნიერო კონსულტაციისათვის.

1940 წ. 6 ნოემბერი. მოსკოვი — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი,  
ბლანკზე, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 1895

კუფტინი ბ. [ბორის ალექსის ძე]. (Куфтин Б.).

1359. ეხება საველე სამუშაოებისათვის კადრების მომზადების  
საკითხს.

1939 წ. 20 მარტი. თბილისი, რუსულ ენაზე, 1 ფ.  
თან ახლავს პატარა ფურცელი ასომთავრული წარწერით და ბ. კუფ-  
ტინის მინაწერით. № 1896

კრივეცკაია ე. [ეკატერინე ალექსანდრეს ას. ჯავახიშვილი-  
კრივეცკაია].

1360. კერძო ხასიათის.

[1898 წ.] 2 მარტი — [1920—21] წ. 8 აგვისტო. თეთრი-წყარო,  
თბილისი, თელავი — სპბ, ბორჯომი, ქართულ და რუსულ ენებზე,  
36 წერილი, 62 ფ., 4 ღია ბარათი, 4 კუბონი.

№№ 1897—1922

ლასხიშვილი გ. [გიორგი].

1361. სთხოვს ითანამშრომლოს მათ გაზეთში.

[1903—05 წ.] 7 იანვარი. თბილისი — სპბ, 1 ფ. № 1923

ლეონიდე ეპისკოპოსი.

1362. ეხება ბენეშევიჩთან მუშაობის საკითხს საქართველოს  
ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით.

pers. ხარლამოვი.

1917 წ. 21 აპრილი. თბილისი, 1 ფ.

№ 1924

1363. აცნობებს საქართველოს ეკლესიის დადგენილებას მისი  
დროებით მმართველობის წევრად არჩევის შესახებ.

1917 წ. 26 ივლისი. თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, შტამპიანი. 1 ფ.

№ 1925

ლეონიდე გიორგი.

1364. ეხება სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტის დაბეჭდვის  
ვითარებას და ამასთან დაკავშირებულ სიძნელებებს.

pers. დავით კაკაბაძე.

1928 წ. 15 სექტემბერი. თბილისი, 2 ფ.

№ 1926

1365. ეხება სულხან-საბა ორბელიანის სურათის დაბეჭდვასა  
და დაბრუნებას, უგზავნის მის მიერ გამოცემულ „ივან-არაკების“  
წიგნს.

1928 წ. 10 ოქტომბერი. თბილისი, 2 ფ.

№ 1927

1366. ეხება ქართველ მოღვაწეთა საფლავების მდგომარეობას დიდუბის პანთეონში.

pers. დიმიტრი ბაქრაძე, ილია ოქროშქედლიშვილი, კანდიდ ჩარკვიანი, გ. წერეთელი.

1939 წ. 27 მარტი. თბილისი, 2 ფ.

№ 1938

ლ ე ო ნ ი ძ ე ლევან.

1367. ეხება ქართული ხელნაწერების მდგომარეობას, გამოთქვამს საყვედურს ხელნაწერების საქართველოში დამბრუნებელი კომისიისადმი. აცნობებს თავის დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

pers. ანდრია რაზმაძე.

1929 წ. 22 მარტი. ლენინგრადი — თბილისი, 1 ფ. № 1939

1368. აცნობებს სააზიო მუზეუმში აღმოჩენილ სომხურ და არაბულ ხელნაწერების შესახებ; ეხება თავის მუშაობის მიზანს და მომავალის პერსპექტივებს.

1929 წ. 2 მაისი. [ლენინგრადი — თბილისი], 2 ფ. № 1940

1369. ეხება ლენინგრადში დაცული ქართული ხელნაწერებიდან და სააზიო მუზეუმში აღმოჩენილი სურათების ალბომიდან ფოტოპირების გადაღების ვითარებას, უგზავნის სულხან-საბა ორბელიანის სურათს და აცნობებს მის წარმომავლობას; ეხება თავის მუშაობას.

pers. მ. ბროსე.

[1929 წ.] 30 ივნისი. [ლენინგრადი — თბილისი], 2 ფ.

№ 1941

1370. სთხოვს მითითებებს ხელნაწერებიდან სურათების გადაღებასთან დაკავშირებით.

pers. მ. ბროსე, პეტრე ქებაძე, ქყონია.

1929 წ. 1—12 აგვისტო. [ლენინგრადი — ბორჯომი], 2 ფ.

№ 1942

ლი ო ც უ ნ ი ედ. (Liauzun Ed.).

1371. ქართული ენისა და გრამატიკის შესახებ.

1911 წ. 26 თებერვალი. თბილისი — სპბ, ფრანგულ ენაზე, 5 ფ.

№ 1943

ლო ბ ჯ ა ნ ი ძ ე დავით.

1372. ეხება აწყურში გათხრილი სამარხების დაცვის საკითხს.

pers. ვახტანგ ჯაფარიძე.

1940 წ. 1 სექტემბერი. აწყური — თბილისი, 1 ფ. № 1944

ლოკსტი მ. (Lhoest M.)<sup>23</sup>.

1373. სთხოვს მიაწოდოს დოკუმენტები საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის ზოგიერთ საკითხზე.

1920 წ. 29 სექტემბერი. თელი — თბილისი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.  
№ 1945

ლომაძე დ. [დავით].

1374. ეხება მარტვილის ისტორიული ძეგლის მდგომარეობას და მის შეკეთებას.

1939 წ. 16 აგვისტო. შტამპიან ბლანკზე № 583, მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.  
№ 1946

ლომოური ი. [იულონ].

1375. მადლობას უთვლის ეკონომიური ისტორიის მეორე წიგნისათვის.

1935 წ. 9 მარტი. თბილისი, 1 ფ.  
№ 1947

ლორთქიფანიძე იასონ.

1376. ულოცავს ქართული უნივერსიტეტის 10 წლისთავს.

1928 წ. 26 თებერვალი. [თბილისი], ფანქრით ნაწერი, 1 ფ.  
№ 1948

მამულაშვილი ალ.

1377. სთხოვს შუამდგომლობას განათლების კომისართან თელავის სამხარეთმცოდნეო მუზეუმისათვის ფართობის მიღებაში.

1938 წ. 6 ივლისი. თელავი — თბილისი, 2 ფ.  
№ 1949

1378. აცნობებს თავის გეგმებს არქეოლოგიური გათხრების წარმოების შესახებ კახეთში. ხელმძღვანელად ასახელებს გ. ჩუბინაშვილს.

pers. სტ. მენთეშაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, წილოსანი.

1938 წ. 4 აგვისტო. თელავი — თბილისი, 2 ფ.  
№ 1950

1379. სთხოვს განსახკომის წინაშე დაიცვას მისი კანდიდატურა თელავის მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე.

1939 წ. 19 ოქტომბერი. თელავი — თბილისი, 1 ფ.  
№ 1951

1380. ეხება ერეკლე მეფის სასახლის რემონტს და სთხოვს დახმარებას.

pers. გ. კიკნაძე, დ. ლომაძე, კ. ჩარკვიანი.

1940 წ. 16 თებერვალი — 27 ივლისი. თელავი — თბილისი, 2 წერილი, 4 ფ.  
№№ 1952—1953

<sup>23</sup> დაწერილია უნივერსიტეტის რექტორის სახელზე.

მანანდიანი ი. (Манандян Я.).

1381. მადლობას უთვლის წიგნისათვის „Первоначальный строй и родство грузинского и кавказских языков“. ქართველთა ეროს ისტ. შესავალი, წიგნი II. თბ., 1937 წ.

1939 წ. 30 ივნისი. ერევანი — თბილისი, რუსულ ენაზე, 1 ფ.  
№ 1054

მარგველაშვილი ტ. [ტიტე].

1382. მიმართავს შეკითხვებით ლიტერატურის შექმნისა და ეთნოგრაფიის და ნუმისმატიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

pers. ე. თაყაიშვილი, ლატიშვი. 1913 წ. 19 აპრილი. ლაიფციგი — სპბ, 2 ფ. № 1055

მარი ნიკო. (Марр Н.).

1383. ეხება თავისი მომავალი მუშაობის გეგმას და თავის ნაშრომების დაბეჭდვის მიმდინარეობას.

1900 წ. 6 ივლისი (თუ 7 ივნისი). სპბ — თბილისი, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1056

1384. აცნობებს, რომ მას (ივ. ჯავახიშვილს) ფაკულტეტმა დაუნიშნა სემესტრში 500 მან. და მიავლინა იგი ბერლინში.


1901 წ. 12 აპრილი. სპბ — თბილისი, რუსულ ენაზე, 1 ლია ბარათი. № 1057

1385. ეხება თავის ნაშრომების (დისერტაცია და „Одописцы“) ბეჭდვის მიმდინარეობას; აცნობებს თავის ოპონენტების ვინაობას; გამოთქვამს თავის აზრს რუსეთში ძველი ენების სწავლებისა და ჰარნაკის შესახებ; აძლევს ტექსტოლოგიურ შენიშვნებს სომხურ წყაროებზე მუშაობისას.

pers. [ზურაბ] ავალოვი, ვ. ბარტოლდი, კოკოვცოვი, როზენი, [ალ.] ცაგარელი. 1901 წ. 26 ივლისი. ჩოხატაური — [ბერლინი], რუსულ ენაზე, 4 ფ. № 1058

1386. აცნობებს „იპოლიტე“-ს გაგზავნას. ეხება ველიჩკოს მიერ (Новое Время-ში) ქართველების დახასიათებას. გამოთქვამს აზრს ქართველებზე; ეხება ივ. ჯავახიშვილის დაბეჭდილ სტატიას და აძლევს შენიშვნებს; აცნობებს თავის სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

pers. ზ. ავალიშვილი, კოკოვცოვი, [ალ. ხახანაშვილი] — ხახანაოვი. 1901 წ. 8 სექტემბერი. სპბ — ბერლინი, რუსულ ენაზე, 3 ფ. № 1059



1387. ეხება თავის ნაშრომის „ღმერთების“ ბეჭდვას და პალესტინაში გამგზავრების საკითხს. გამოთქვამს მოსაზრებას ზ. ავალიშვილის წიგნზე და თავის სტუდენტების შესახებ.

pers. ალ. ხახანოვი, პარნაჯი.

1901 წ. 25 ნოემბერი. პეტრეს ქალაქი — ბერლინი, ავტორაფი, 1 ფ. № 1960

1388. აძლევს შენიშვნებს ევსტათე მცხეთელის მარტივობის თარგმანთან დაკავშირებით; გამოთქვამს თავის შეხედულებას ზ. ავალიშვილის (АВАЛОВ) წიგნზე; ეხება ძველი ენების სწავლების საკითხს.

pers. კოკოცოვი, ხეოსონი, პარნაჯი.

[1901 წ. დეკემბერი. სპბ — ბერლინი], რუსულ ენაზე, 6 ფ. № 1961

1389. ეხება თავის წიგნების ბეჭდვის მიმდინარეობას, აცნობებს მისი სტატიის დაბეჭდვას. განიხილავს სხვადასხვა ახალ გამოცემებს. აცნობებს პარნაჯისათვის „ღმერთების“ ხოლო მისთვის „ღმერთების“ და იოსებ არიმათიელის გაგზავნას. ეხება პალესტინაში თავის გამგზავრებას.

pers. იუსტი. კოკოცოვი.

[1901 წ. სპბ — ბერლინი], 2 ფ. № 1962

1390. გამოთქვამს თავის აზრს ზ. ავალიშვილის წიგნზე; აცნობებს თავის შეხედულებას ივ. ჯავახიშვილის მიერ საქართველოს ისტორიაზე მუშაობისა და სინაზე და პალესტინაში ექსპედიციების მოწყობის შესაძლებლობაზე.

pers. ნიოლდეკე, Palmieri.

1902 წ. 4 იანვარი. [სპბ — ბერლინი], 2 ფ. № 1963

1391. ეხება თბილისში ყოფნით მიღებულ შთაბეჭდილებებს, ანისის გათხრების მიმდინარეობას და მომავალ გეგმებს.

pers. ე. თაყაიშვილი, ა. ლაისტი, ნ. ლოლობერიძე.

1904 წ. 2 ივლისი. ანისი — სპბ, რუსულ ენაზე, 1 ფ. № 1964

1392. ეხება ივ. ჯავახიშვილის დისერტაციის წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებს და გათხრების მიმდინარეობას.

[1904—05 წწ.]. ანისი — სპბ, რუსულ ენაზე, ფანქრით ნაწერი, 2 ფ. № 1965

1393. ეხება ივ. ჯავახიშვილის მიერ „Наши Дни“-ს ნომერში დაბეჭდილ წერილს 1905 წ. ამბებთან დაკავშირებით.

1905 წ. 25 იანვარი. სპბ, რუსულ ენაზე, 2 ფ. № 1966

1394. ეხება თავის მუშაობას და მის მოწვევას თსუ-ში.

1920 წ. 28 ნოემბერი. ლაიბციგი — თბილისი, ორცა (თბ.) № 471, ალწ. 1, სპ. 74, ფ. 179.

დაბეჭდილია საისტ. შპე, № 86.

1395. რეკომენდაციას უწევს უცნობ პირს თბილისში ხელოვნებათმცოდნეობაში მუშაობისათვის; სწუხს მათი მეცნიერული კვლევის შეწყვეტის გამო.

1921 წ. 16 ოქტომბერი. პარიზი — თბილისი, 1 ფ., 1 კონფ.

№ 1967

1396. ეხება ივ. ჯავახიშვილის მიერ სინას მთაზე მისთვის გადაწერილ დაბადების ტექსტს.

1925 წ. 28 დეკემბერი. ლენინგრადი — [თბილისი], 1 ფ.

№ 1968

მაჭავარიანი გოგლო [გიორგი პაატას ძე].

1397. ეხება ივ. ჯავახიშვილის წერილს (ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში) „ცნობის ფურცლიდან“ „მოამბეში“ დასაბეჭდად გადატანას<sup>24</sup>; აცნობებს შარაძის სტამბის დახურვას.

1901 წ. 18 მაისი. თბილისი — სპბ, 1 ფ.

№ 1969

1398. აცნობებს „მოამბეში“ ივ. ჯავახიშვილის წერილის დაბეჭდვის ვითარებას „მოამბის“ მუდმივ თანამშრომლად არჩ. ჯორჯაძის მიწვევას, ალ. სარაჯიშვილის მიერ „ახალი კაბინეტის“ შედგენას და თბილისში საპირველმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით მომხდარ მღელვარებას. ეხება შარაძის სტამბის დახურვას.

pers. ივ. მაჭავარიანი.

1901 წ. 19 ივნისი. თბილისი — სპბ., 2 ფ.

№ 1970

1399. აცნობებს მისთვის წიგნების გაგზავნას („მამულიშვილობა და მეცნიერება“).

pers. შ. ვ. ორბელიანი.

1904 წ. 25 ივნისი. თბილისი — სპბ, „ცნობის ფურცლის“ რედაქციის ბლანკზე, 1 ფ.

№ 1971

1400. კერძო ხასიათისა.

1911 წ. 21 ივლისი. სპბ — თბილისი, 2 ფ.

№ 1972

1401. უგზავნის ქართველი ერის ისტორიის II<sup>2</sup> წიგნის სურათების) კლიშეს სანიმუშო ანაბეჭდს.

1912 წ. 22 თებერვალი. თბილისი — სპბ, 1 ლია ბარათი.

№ 1973

<sup>24</sup> დაბეჭდილია „მოამბე“ 1901. № 4.

1402. ეხება ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის მდგომარეობას, მის ხელმძღვანელობას. აცნობებს წ. კ. გ. საზოგადოების გადაწყვეტილებას ლექსიკონების გამოცემის შესახებ და სთხოვს უხელმძღვანელოს ამ საქმეს.

pers. მოსე ჯანაშვილი, [იოსებ] ყიფშიძე, ჭიჭინაძე.  
1915 წ. 5 აპრილი. თბილისი — სპბ. 2 ფ. № 1974

მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი დავით. [დავით პაატას ძე].

1403. აცნობებს, რომ უგზავნის რკინიგზით წიგნებს.  
1902 წ. 18 სექტემბერი. თბილისი — სპბ. 1 ფ. № 1975

1404. კერძო ხასიათის.

1904 წ. 4 ივნისი — 1905 წ. 4 თებერვალი. თბილისი—სპბ, 6 წერილი, 2 პარაღ ბლანკზე, 9 ფ.

№№ 1976—1981

მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ვ. [ელადიმერ].

1405. შუამდგომლობს გიორგი ლომთათიძეს საქართველოს ეკონომიური ისტორიის სემინარზე დაშვების შესახებ.

1938 წ. 23 აპრილი. თბილისი, 1 ფ. № 1982

1406. „ქართველი ერის ისტ. შესავლის“ II წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.

1938 წ. 18 აგვისტო. თბილისი — [კიევი], 1 ფ. № 1983

მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ივ. [ივანე].

1407. ეხება ალ. ჯაბადარის და ალ. ჭყონიას უთანხმოებას.

1903 წ. 1 იანვარი. თბილისი — [სპბ], 1 ფ. № 1984

მ ა ხ ა რ ა ძ ე ფ. [ფილიპე].

1408. აცნობებს თავის აზრს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისათვის დაწერილი სტატიის „Грузины“-ს შესახებ. სთხოვს ცვლილებების შეტანას.

1930 წ. 20 სექტემბერი. თბილისი, მანქანზე ნაბეჭდი, ბლანკზე. ხელმოწერილი, 1 ფ., 1 კონვ. № 1985

მ ე გ რ ე ლ ი ძ ე რომანოზ.

1409. სთხოვს აცნობოს სიძველეთა დაცვის კომიტეტს ოზურგეთის მაზლობლად მდებარე ეკლესიების მდგომარეობა და უშუამდგომლოს მათ შეკეთებას.

1926 წ. 8 თებერვალი. სუფსა — თბილისი, 1 ფ. № 1986

მეკელაინი რიხარდ (Meckelein Richard).

1410 ეხება გერმანულ-ქართულ ლექსიკონის შედგენის, ქართული სახელმძღვანელოს დაბეჭდვის და დუბლიაჟების გაცვლის საკითხს პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას შორის.

pers. მ. წერეთელი, პარნაი.

1923 წ. 27 თებერვალი. ბერლინი — თბილისი, რუსთაველის საზოგადოების ბლანკზე, გერმანულ ენაზე, 1 ფ. № 1987

1411. ეხება თავის მუშაობას ლექსიკონებზე და გადაწყვეტილებას „ქართველი ერის ისტორიის“ თარგმნის შესახებ; მადლობას უთვლის გამოგზავნილ „მოამბი“-სათვის.

pers. Marquart, Ed. Meyer, დ. უზნაძე, პარნაი.

1923 წ. 30 ნოემბერი. ბერლინი — თბილისი, გერმანულ ენაზე, 2 ფ. № 1988

1412. ეხება წიგნების გაცვლის საკითხს თსუ და გერმანიის სახ. ბიბლიოთეკებს შორის; გამოთქვამს კმაყოფილებას საქართველოში სამეცნიერო ცხოვრების გაცხოველების გამო.

pers. ვეზენდონკი (Wesendonk).

1924 წ. 7 აგვისტო. ბერლინი — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ. № 1989

1413. ეხება თავის მუშაობას ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე გერმანული სტუდენტების დასახმარებლად. მადლობას უთვლის მიღებული წიგნებისათვის.

1925 წ. 15 ნოემბერი. ბერლინი — თბილისი, მანქანაზე ნაბეჭდი, პირად ბლანკზე, გერმანულ ენაზე, 1 ფ. № 1990

მელაძე ქსენია და ერქომაიშვილი თამარ.

1414. გამოთქვამენ მწუხარებას ივ. ჯავახიშვილის [უნივერსიტეტის რექტორობიდან გადადგომის გამო].

[1926 წ.]. თბილისი, 1 ფ.

№ 1991

მელიქიანი არამაის აკოპის ძე (Меликян Арамаис Акопович).

1415. აცნობებს სოფ. კუშჩში ნაპოვნ ქართულ ფულზე და სთხოვს შეატყობინოს მისი მნიშვნელობა. წერილის V-ზე გადაღებულია ფულის ანაბეჭდი.

უთარილო. კირთვაბადი — თბილისი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

№ 1992

